შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6 (10.062)

4-11 მარტი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

სიცოცხლე იწყება შვინით...

გაზაფხულდა. მზემ გაიღიმა, ათას გრძელ სხივად გაიშალა მისი ღიმილი. ნაზამთრალ მინდვრებს თოვლის საბანი გადახადა, აყვავილებულ ენძელებსა და ყოჩივარდებს მიეალერსა. პაწია ნიაც სითბომ გარეთ გამოიტყუა. დედასთან ერთად ენძელების საკრეფად ველზე გავიდნენ. ესიამოვნა ნიას სითბო და თავისუფლება. კრეფდა ყვავილებს და დედასთან მიჰქონდა, პაწაწინა, ვარდისფერ მკლავებს ხვევდა და ეფერებოდა.

-აღარ წავიდეთ სახლში, დედიკო, აქ მეტი თავისუფლებაა, თან მამაც არ ყვირის და გვეჩხუბება-ეხვეწება ნია დედას.

-უკვე აცივდა, სახლში დროზე თუ არ წავალთ, ავად გახდები-ცდილობს მის გადარწმუნებას დედა.

ნიას თვალებში სევდა უდგება. გუნება უფუჭდება და ხმის ამოუღებლად, მორჩილად მიჰყვება დედას სახლისაკენ. დროდადრო ახედავს მას და ნატრობს, ნელა გავიდეს დრო და დაგრძელდეს სახლამდე მისასვლელი გზა.

საქართველოში ნიასნაირი ბავშვები მრავლად არიან. ძალადობის მსხვერპლი დედები და მათი შვილები. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ჩვენს ქვეყანაში მკაცრდება მოძალადეების მიმართ, ოჯახის სიმტკიცის ტრადიციული მიდგომა კვლავ ბორკილად ქცევია ბევრ ქართველ ქალს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია.

საქართველოში ქალის კულტია გამეფებული. ქართულ ტრადიციულ სუფრაზე თამადა გამორჩეულად სვამს ქალის სადღეგრძელოს, როგორც დედისა და ოჯახის ბურჯისას. ამის ფონზე სტატისტიკა საშინელ და გამაოგნებელ რეალობას გვამცნობს: საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, 2014-2022 წლებში საქართველოში 186 ქალი მოკლეს. უწყება ამბობს, რომ „ოჯახური ნიშნით“ ჩადენილია 92, ხოლო „სხვა მოტივით“ - 94 ქალის მკვლელობა.

უწყებაში აცხადებენ, რომ ოჯახურ დანაშაულებზე მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას ატარებენ და ამას ადასტურებს 2014 წლიდან სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის ყოველწლიური ზრდა. მათი ინფორმაციით, 2014 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 550 პირის მიმართ დაიწყო, 2021 წელს – 5144 პირის მიმართ, ხოლო 2022 წლის 8 თვის მონაცემებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 4591 პირის მიმართ.

ბოლო არ უჩანს დაობლებულ შვილებს, ძაძებით შემოსილ დედებს, გამწარებულ ახლობლებს...

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მძიმე სტატისტიკის მიუხედავად, ჯერ ისევ ძლიერია ე.წ. ტრადიციული სტერეოტიპები, რომელიც ქალს ოჯახის მეორეხარისხოვან წევრად მოიაზრებს. ჩვენ ვცდილობთ, ვებრძოლოთ შედეგებს და არა მიზეზს.

„სანამ საზოგადოებაში იქნება სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რომ განქორწინება არ არის გამართლებული, განქორწინების შემდეგ ქალის დამოუკიდებელი პირადი ცხოვრება მუდმივად განხილვის საგანია, რომ ქალი შეიძლება დააშანტაჟო მისი პირადი ცხოვრების გამო, რომ კაცს აქვს ინტიმური პარტნიორის ყოლის უფლება და ქალს არ აქვს, მანამდე აუცილებლად გვექნება გენდერული მოტივით ჩადენილი დანაშაულების მაღალი მაჩვენებელი. ამ დანაშაულების მთავარი საფუძველი გენდერული უთანასწორობაა. რომ ქალს მოეთხოვება აი ასე და ასე მოქცევა და თუ ქალი ისე არ იქცევა, როგორც მას მოეთხოვება, მაშინ მასზე ძალადობა, მისი მოკვლა გამართლებულია, მის მიმართ ემპათია ნაკლებია, სამაგიეროდ კი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრალდებულის გამართლების გზებს ეძებს, რომ ქალმა აიძულა, ქალმა გამოიწვია, აეჭვიანა“...

სახელმწიფო უკომპრომისოდ უნდა ებრძოლოს მავნე ტრადიციებს, რადგან ზოგჯერ ადამიანის უფლებების ასეთ წარმოუდგენელ დარღვევებსაც კი ამართლებენ სოციალური და რელიგიური ნორმებითა თუ ტრადიციებით. ამიტომ ყოველთვის კარგად უნდა დავფიქრდეთ, როცა მათ კანონის საპირწონედ განვიხილავთ. როგორც ვხედავთ, ტრადიციები, სოციალური და რელიგიური ნორმები გოგონებსა და ქალებს არსად იცავს, მაგრამ კარგ სახელმწიფოში კანონს ნამდვილად შეუძლია მათი დაცვა.

ამ რვა წლის განმავლობაში, არაერთი საკანონმდებლო ცვლილება მოხდა:

2017 წელს საქართველო „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბულის კონვენცია) შეუერთდა, გამკაცრდა სისხლის კანონმდებლობა - ფემიციდი 16-დან 20 წლამდე, ან უვადო პატიმრობით ისჯება. 2014 წლიდან მოყოლებული, 25-ზე მეტ საკანონმდებლო აქტში შევიდა ცვლილება. მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსში, საპროცესო კოდექსში, ფემიციდის შემთხვევაში დამნაშავესთან არ ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმება და მაინც ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობების უცვლელი სტატისტიკა აჩვენებს, რომ პრობლემა ვერ გადაიჭრა.

ბოლო წლებში ფემიციდის შედეგად დაობლებული ბავშვების სტატისტიკაც შემაძრწუნებელია. 2022 წელს ფემიციდის შედეგად დაობლდა 21 ბავშვი, მათ შორის ყველაზე პატარა 1 წლის.

სადაა პრობლემის სათავე?

ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ერთ-ერთი მიზეზი ოჯახებში გაბატონებული „ბიჭის, როგორც გვარის გამგრძელებლის“, კულტია“.

ბევრ ოჯახში ხომ ბიჭებს შთააგონებენ, რომ სწორედ ისინი არიან ოჯახის უფროსები, მარჩენალები, ღირსების დამცველები და გვარის გამგრძელებლები, გოგონებს კი, უბრალოდ, „კარგ პატრონს“ აბარებენ. ყველამ ვიცით, რომ ოჯახური სისტემის ცენტრში ბიჭია, სწორედ ის არის „მზე“.

პოპულარული სატელევიზიო სერიალის „გრეის ანატომიის“ შემქმნელი შონდა რაიმსი რამდენიმე წლის წინ გამოსულ წიგნში „Year of Yes“ იხსენებს ეპიზოდს, სადაც სერიალის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პერსონაჟი ქალი, ქრისტინ იანგი თავის მეგობარს, ასევე ძლიერ ქალს, მერედით გრეის მის ქმარზე ეუბნება: **„არ მისცე საშუალება, შთანთქას ის, რაც შენ გჭირდება. ის მეოცნებეა, მაგრამ მზე არ არის. მზე შენ ხარ.“** შონდა რაიმსი წერს, რომ ქრისტინ იანგის ეს რჩევა მხოლოდ ამერიკელი ქალებისთვის კი არ იყო განკუთვნილი, არამედ მასაც ეკუთვნოდა. ვფიქრობ, ამ რჩევის მიცემა ქართველ გოგონებსა და ქალებსაც სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ. და თუკი გვჯერა, რომ ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის ბავშვთა ქორწინებას, უთანასწორობა და სტერეოტიპები კვებავს, და თუ გვინდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოს იმედად არ ვიყოთ და ჩვენი წვლილიც შევიტანოთ გოგონების გაძლიერებაში, ჩვენ გარშემო რაც შეიძლება მეტ გოგოს უნდა ვუთხრათ: **„შენი თავის პატრონი შენ ხარ, ქორწინება შენი არჩევანია, შვილის გაჩენა შენი არჩევანია, შენ ამ სამყაროს უმნიშვნელო ნაწილი კი არ ხარ, ეს სამყარო შენ გარშემო ბრუნავს: მზე შენ ხარ!“**

***

საქართველოში ქალს ყოველთვის გამორჩეული მისია ჰქონდა. ისტორიულად სწორედ ძლიერმა ქართველმა ქალებმა შეძლეს თავისი სიტყვა ეთქვათ პოლიტიკაშიც და თავიანთი მოწამებრივი სიკვდილით ჩვენი რწმენის შენარჩუნებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ. ამის მაგალითად მარტო თამარ მეფე და ქეთევან დედოფალიც გამოდგებიან. ისინი დღესაც მზესავით ანათებენ საქართველოს შორეული წარსულიდან და ქალის, დედის როლზე კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებენ.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ რეალობას - აქაც ქართველმა დედებმა გადაარჩინეს შვილები, ოჯახები და 90-იანი წლების გაჭირვება უცხოეთში გადახვეწითა და ემიგრანტის მძიმე ხვედრის ფასად გადაატანინეს. ამ ფაქტორმა ეკონომიკური ზიანი კი აარიდა მათ შვილებს, მაგრამ დედის გარეშე დარჩენილებს სხვა პრობლემები ნამდვილად შეუქმნათ. თუმცა, ამაზე სხვა დროს...

***

გაზაფხულს ყოველთვის იმედი მოაქვს. ბავშვისთვის აუცილებელია ჰარმონიულ ოჯახში გაზრდა, დედისა და მამის გარემოცვაში, სადაც სითბო და სიყვარულია. „კარგი მამა იმაზე უკეთესს ვერაფერს გაუკეთებს საკუთარ შვილებს, ვიდრე მათ დედაზე ზრუნვაა“- თქვა ერთმა ბრძენმა.

იმედი მაქვს, საქართველოში სულ უფრო ნაკლები ბავშვი ინატრებს იმას, რომ ცოტათი მაინც დაგრძელდეს მანძილი სახლამდე...

მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

C M Y K

გილოცავთ დედის დღეს!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დედის დღე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გიორგი აბიათარის დედას, ელისაბედ აბიათარს და სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრებ 7 შვილის დედას ლია სურმანიძეს მიულოცა.

„დედის დღეს ორ ღირსეულ ქალბატონს ვეწვიე და დედის დღე მივულოცე. ქალბატონ ელისაბედ აბიათარის ერთადერთი ვაჟი სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა. ის მხოლოდ 18 წლის იყო. კიდევ ერთხელ მადლობა მას შვილის გმირად აღზრდისთვის, ასევე მადლობა ახალგაზრდა ქალბატონს ლია სურმანიძეს, რომელიც საქართველოს 7 შვილს უზრდის. სწორედ ასეთ ღირსეულ ქალბატონებზე დგას ჩვენი სამშობლო, საბედნიეროდ, ჩვენს მუნიციპალიტეტში ისინი არც ისე ცოტა არიან. ყველა დედას ვულოცავ დედის დღეს“ -განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სამ საგანში ცვლილებები შედის

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის სოფიო გორგოძის განცხადებით, წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის 3 საგნის ფორმატში მცირედი ცვლილება არის შესული და სჯობს, აბიტურიენტები ამ სიახლეებს გაეცნონ.

როგორც გორგოძემ ბრიფინგზე განაცხადა, ცვლილებები ისტორიის, უცხო ენისა და მათემატიკის გამოცდებს შეეხება.

„წელს ფორმატის მცირედი ცვლილება არის მხოლოდ 3 საგანში, ეს გახლავთ ისტორიაში, უცხო ენასა და მათემატიკაში. ფორმატის მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის, მაგრამ აბიტურიენტებისთვის ალბათ, მნიშვნელოვანია, რომ გაეცნონ. საგამოცდო დრო არ შეცვლილა”, — განაცხადა გორგოძემ.

ამასთან, მისივე თქმით, რაჭაში, კერძოდ, ამბროლაურში წელს ახალი საგამოცდო ცენტრი გაიხსნა.

„ძალიან დიდი მოთხოვნა იყო ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობისგან და გათვალისწინებული იქნა ეს მოთხოვნა. ამის თაობაზე 2 წლის წინ დაიწყო საუბარი, მუშაობა და წელს შევძელით, რომ ეს გაგვეკეთებინა”, — განაცხადა გორგოძემ.

მისი განმარტებით, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა ყოველ წელს მცირედით იცვლება. როგორც სოფიო გორგოძემ განაცხადა, წელს 27 საგამოცდო ცენტრი გაიხსნება.

სტუდენტის სტატუსი სავალდებულო ჯარის გადავადების საფუძველი აღარ იქნება

„დღეს გვაქვს სტუდენტის სტატუსი, როგორც გადავადების საფუძველი. შემოთავაზებული ცვლილებით, სტუდენტის სტატუსი არ არის გადავადების ავტომატური საფუძველი”, - აცხადებს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე ახალ „თავდაცვის კოდექსზე“ საუბრისას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, გიორგაძე განმარტავს, რომ სამინისტრო სტუდენტებს სხვა წვევამდელებთან შედარებით, სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის დროს განსხვავებულ პირობებს შესთავაზებს და უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს. გიორგაძის თქმით, გაწვევას ყველა სტუდენტი არ დაექვემდებარება, მათი შერჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით მოხდება და მათ შესაძლებლობა ექნებათ, აირჩიონ 6, 8, 11-თვიანი თუ სწავლასთან ერთად ოთხწლიანი პროგრამა.

„სტუდენტს ექნება ოთხი ოფცია. მას შეუძლია, სურვილის შემთხვევაში აიღოს აკადემიური და გაიაროს 6, 8 ან 11-თვიანი პროგრამა, ხოლო თუ მას უნდა, სწავლას შეუთავსოს, არის ოთხწლიანი ოფციაც. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც შემოგვაქვს; ეს არის რეზერვის ოფიცრის ორწლიანი პროგრამა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა ამ პროგრამაში და სწავლის ხელშეშლა არ მოხდება. ეს პროგრამაც უქმეების პერიოდზე არის აგებული. გარდა სტუდენტებისა, ამ პროგრამით სარგებლობა მათაც შეუძლიათ, ვისაც უმაღლესი განათლება აქვთ. ეს პროგრამა ასევე საინტერესოა ისეთი ადამიანებისთვის, ვისაც უმაღლესი დამთავრებული აქვს, მაგალითად, მუშაობს, და ისე, რომ სამსახურს არ მოწყდეს, შეუძლია, შეუთავსოს. ვალდებულების მოხდა ამ ფორმითაც არის შესაძლებელი. მაგალითად, თუ პირი კარგი პროგრამისტია ან IT სპეციალისტი, მას სპეციალისტის რეზერვში შეუძლია სამსახური. წელიწადში 45-დღიანი შეკრება ხდება და მათ ვალდებულება მოხდილად ჩაეთვლებათ“, — განაცხადა გრიგოლ გიორგაძემ.

შეგახსენებთ, ახალი თავდაცვის კოდექსის ამოქმედება 2025 წლიდან იგეგმება. განახლებული კანონით, სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის გაწვეული წვევამდელები მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში იმსახურებენ და არ მოუწევთ შსს-ში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა თუ პენიტენციურ დაწესებულებებში მუშაობა. „თავდაცვის კოდექსის“ პროექტი იურიდიულმა კომიტეტმა დღეს პირველი მოსმენით განიხილა.

დედოფლისწყაროში 5 ადამიანი დააკავეს

სპეცოპერაცია დედოფლისწყაროში – შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დედოფლისწყაროში დააკავეს ხუთი ადამიანი, მათ შორის კრიმინალური ავტორიტეტი, ცხვრების გატაცებისა და მწყემსებისთვის თავისუფლების აღკვეთის ბრალდებით. დანაშაული 4-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ოთხმა ადამიანმა (გ.ბ.-მ , ნ.ბ.-მ, მ.რ.-მ და ზ.ბ.-მ) ძალადობის მუქარით გაიტაცა ლ.მ.-ს ფერმიდან 600 ცხვარი, დაზარალებულმა კი (გ.ბ.-სთან) დავის მოსაგვარებლად კრიმინალური ავტორიტეტი (ა.ა.) ჩართო.

„გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ა.ა.-მ და გ.ტ.-მ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება მწყემსებს, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ გ.ბ.-ის კუთვნილ 1068 ცხვარს“, - წერია განცხადებაში.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე, 236-ე და 143-ე მუხლებით მიმდინარეობს:

1976 წელს დაბადებულ გ.ბ.-ს, 1976 წელს დაბადებულ მ.რ.-ს და 1972 წელს დაბადებულ ზ.ბ.-ს ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვა;

1985 წელს დაბადებული ა.ა. დაკავებულია წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვის და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით;

1985 წელს ლ. მ.-ს ბრალად ედება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი დიდი ოდენობით ძარცვა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

აქვე აღნიშნულია, რომ პოლიციამ ამოიღო „აკ-74-ის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები - პოლიცია ვარაუდობს, რომ ეს ეკუთვნოდა კრიმინალურ ავტორიტეტსა (ა.ა.-ს) და მასთან ერთად ამ საქმეში ჩართულ კიდევ ერთ (გ.ტ.-ს) ბრალდებულს.

დედოფლისწყაროში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2023 წელს განსახორციელებელი პროექტები:

არბოშიკი 1) ე.წ. „კოტაანთ უბანში“ არსებული ბავშვთა გასართობ ატრაქციონებთან საყრდენი კედლის მოწყობა.

2) ე.წ. „გზირიანის უბანში“ წყაროს რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

მირზაანი 1) სოფლის გარე განათების ქსელის ნათურების შეცვლა ლედ სანათებით. 2) საბავშვო ბაღის მესრის ნაწილობრივი მოწყობა-რეაბილიტაცია.

ზემო მაჩხაანი - 1) საბავშვო ბაღის შენობაში საცეკვაო დარბაზის მოწყობა.

ქვემო ქედი – 1) ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული იგორ ცაბაურაშვილის სახელობის სკვერის კედლის რეაბილიტაცია. 2) სოფლის შესასვლელში არსებული სკვერის კეთილმოწყობა.

არხილოსკალო 1) საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა-შესასვლელის გადახურვა და ეზოში ბავშვთა გასართობი ატრაქციონების დამატება.

ზემო ქედი 1) ე.წ. „მთიულების სასაფლაოს“ შემოღობვა. 2) ე.წ. „ქსნელების“ უბანში არსებული სტადიონის ნაწილობრივ შემოღებვა/რეაბილიტაცია .

თავწყარო 1) სოფელში არსებული სასაფლაოს კეთილმოწყობა-ფანჩატურისა და საპირფარეშოს მოწყობა.

გამარჯვება 1) სოფელში სასაფლაოს ტერიტორიის გაფართოება/შემოღობვა. 2) სოფელში არსებულ ჭაბურღილებთნ წყალსადენისა და რეზერვუარის მოწყობა.

ოზაანი 1) სოფელში ე.წ. „აბანოს უბანში“, „სახერხის უბანში“ და „გუდაანთ უბანში“ საუბნო გზების მოხრეშვა-დაგრეიდერება.

საბათლო 1) ცენტრალურ უბნებზე გარე განათების ქსელის ნათურების შეცვლა ლედ სანათებით.

ფიროსმანი 1) სოფლის მიმდებარედ არსებული არტეზიული ჭიდან გამომავალი წყალსადენის რეაბილიტაცია 2) შინდისის გმირთა მემორიალის პარკში ტრენაჟორებისა და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა-რეაბილიტაცია.

სამთაწყარო 1)საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. 2) ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის ეზოში ბეტონის საფარის მოწყობა .

სამრეკლო 1)სოფლის ცენტრში არსებული მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 2) საჯარო სკოლის ეზოს დარჩენილი მონაკვეთის შემოღობვა.

ხორნაბუჯი 1) ეკა ბეჟანიშვილის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა.

ჭოეთი 1) სოფლის ცენტრში სატრენაჟორო ფარდულის და ტრენაჟორების მოწყობა.

საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყო

მერვე ეტაპად გამოქვეყნებული საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება 22 თებერვალს დაიწყო და 31 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეირჩა და გამოქვეყნდა მერვე ეტაპზე იჯარით გასაცემი საძოვრის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მონაცემები.

საძოვრების იჯარით აღების მსურველთა განაცხადების მიღება 22 თებერვალს დაიწყო და 31 მარტის ჩათვლით გაგრძელდება. გამოქვეყნებულია კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონების 88 ერთეული საძოვრის მონაცემები. მათ შორის, დედოფლისწყარო - 13, სიღნაღი - 1, ლაგოდეხი - 5, ახალციხე - 2, ნინოწმინდა - 1, ბორჯომი - 24, დმანისი - 19, მარნეული - 6, ხობი - 4, წალენჯიხა - 1, ვანი - 6, ჭიათურა - 2, ზესტაფონი - 1, ლანჩხუთი - 3. 2022 წლის 28 მარტიდან სააგენტომ შეარჩია და შვიდ ეტაპად გამოაქვეყნა იჯარით გასაცემი საძოვრების მონაცემები. ჯამში, ინტერესი გამოიხატა 212 კოდზე და მასთან დაკავშირებული მონაცემები გადაიგზავნა ქონების ეროვნულ სააგენტოში. პირდაპირი წესით გადაცემას დაექვემდებარა 119 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 12650 ჰა; ხოლო აუქციონის წესით გადაცემას - 93 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 14495 ჰა. ქონების ეროვნულ სააგენტოში ჩატარებულია აუქციონები 86 მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით 133271 ჰა. იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 47 (6318 ჰა.) მიწის ნაკვეთზე. ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი გრძელდება.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდებზე (www.land.gov.ge www.mepa.gov.ge), ასევე სააგენტოს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამა საქართველოს მთავრობამ 2021 წლის 6 ოქტომბერს დაამტკიცა. პროგრამა მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მფლობელ ფერმერებს საშუალებას აძლევს, სასურველი საძოვარი აუქციონის გზით მიიღონ და სამწლიანი იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში განკარგონ. პროგრამა, საძოვრებზე ლეგიტიმური კერძო პასუხისმგებლობის გაჩენით, ხელს შეუწყობს მათ რაციონალურ გამოყენებას, დაიცავს დეგრადაციისგან და, ამავდროულად, მეცხოველეობის დარგის განვითარებას დაეხმარება.

ქვემო ქედიდან – ბარაკ ობამამდე

ქვემო ქედელი მაკა ტოხიშვილი ბარაკ ობამას ლიდერებს შორის აირჩიეს. როგორც მაკა ტოხიშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ის, ობამას ფონდის ლიდერების ევროპის პროგრამაში შერჩეულ 35 ლიდერს შორისაა. პროგრამა ამზადებს მონაწილეებს მთელს მსოფლიოში ლიდერობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობაში, რათა დაეხმარონ თავიანთი უნარების ჩამოყალიბებასა და მათი მუშაობის მასშტაბირებას საჯარო, კერძო და არაკომერციულ სექტორებში. მაკა იქნება ერთ-ერთი 105 ლიდერიდან, რომელიც მონაწილეობს განვითარებადი ლიდერების პროგრამაში მთელი მსოფლიოდან. ევროპის ლიდერების წლევანდელი კოჰორტა წარმოადგენს 23 ქვეყანას რეგიონის მასშტაბით.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, მაკა რამდენიმე თვეა ტორონტოში იმყოფება. მას აქვს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში და ამჟამად სწავლობს ჰარვარდის უნივერსიტეტის საჯარო გამოსვლის პროგრამაზე და ემზადება დოქტორანტურისთვის. მისი ბიოგრაფია შეიცავს გამოცდილებას მთავრობის მრჩეველობისა და ახალგაზრდობის უფლებების დაცვის სფეროში. მაკა თანახელმძღვანელობდა საქართველოს ერთ-ერთ პოლიტიკურ ახალგაზრდულ მოძრაობას, რომელმაც პირველად ჩართო 10 000-ზე მეტი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემუშავებაში, შექმნა ახალი სტიპენდიების შესაძლებლობა 6000-ზე მეტი სტუდენტისთვის. მისი ბრძოლის შედეგად მთავრობამ შეიმუშავა რეფორმა - განათლების დაფინანსების ახალი სტრატეგია. მან ასევე შეიტანა კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს უნივერსიტეტებში პოლიტიკური დებატების აკრძალვის გაუქმების თაობაზე და მისი ძალისხმევის შედეგად სასამართლომ განმარტა ნებართვა. მაკა საკუთარ თავს აღწერს, როგორც „დემოკრატიის ერთ-ერთ მეწარმეს“ და მისი პირადი მისიაა იყოს მშვიდობისა და თანასწორობის ელჩი უკეთესი სამყაროსთვის.

მაკა ტოხიშვილი: „როგორც „ობამას ლიდერი“ შევუერთდი მსოფლიო გლობალური ლიდერების ქსელს და წარმოვადგენ ჩვენს საქართველოს, ადგილობრივი და გლობალური ცვლილებების შესატანად. ძალიან მინდოდა, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის ხმა მოესმინათ მსოფლიოში გავლენიან და ცვლილების შემომტან ლიდერებს და უზომოდ მიხარია, რომ გამოვიდა. წლების წინ ვინმეს რომ ეთქვა, ბარაკ და მიშელ ობამებისგან წერილს მიიღებ და გექნება პატივი, შეხვდე ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პრეზიდენტს, მისივე ლიდერის სტატუსითო, ალბათ, სიზმარშიც კი ვერ დავიჯერებდი. ეს დღე დადგა! რაც მთავარია, ვაპირებ, ჩვენს ახალგაზრდებს უამრავი შესაძლებლობის კარი გავუხსნა.

შესარჩევი ეტაპები მოიცავდა აპლიკაციას, რომელიც საკმაოდ რთული იყო, რადგან მოითხოვდა დასაბუთებას, რომ ლიდერული უნარების საფუძველზე გაკეთებული მქონდა ისეთი რამ, რაც საზოგადოებრივ სიკეთეს ემსახურებოდა. შემდგომ იყო გასაუბრება ობამას ფონდის წარმომადგენლებთან. საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპი იყო.

ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ანა დოლიძეს, რომელმაც ამ ფონდის და შესაძლებლობების შესახებ შემატყობინა ჯერ კიდევ ჩემი საქართველოში ყოფნის დროს, „პროგრესის ცენტრის“ გუნდს, რომელმაც ლიდერული უნარების გამოვლენის საშუალება მომცა. ამ ცენტრის თანადამფუძნებელია ანა დოლიძე და ობამას ფონდში წარმადგინეს როგორც „პროგრესის ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი. ასევე მადლობა „რუხაძე და პარტნიორებს“, რომელიც დამეხმარა ამ ხნის განმავლობაში.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მასწავლებელს, გულნარა ტვილდიანს, რომელმაც ქვემო ქედის საჯარო სკოლაში ფასდაუდებელი შრომა გასწია ჩემი ბავშვობიდან პროფესიული თუ პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ახლადშექმნილ ოჯახს უდიდესი თანადგომისა და ხელშეწყობისთვის. ქვემო ქედში დაწყებული ისტორია ახლა ჩიკაგოში გრძელდება. დიდი მოგზაურობა იწყება!“ – ამბობს ტოხიშვილი.

ექვსთვიანი პროგრამის ფარგლებში, თავდადებული ცვლილებების შემქმნელი ლიდერები შეიკრიბებიან პრაქტიკულად ყოველ კვირას ინტერაქტიული სესიებისთვის, რათა დაეხმარონ მათ ცვლილებების წარმართვაში ლიდერობის უნარების დახვეწით, თანატოლებთან ღრმა ურთიერთობების დამყარებით, ობამას ფონდის საზოგადოების აზროვნების ლიდერებისა და წევრების ჩათვლით. მათ ასევე ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ვირტუალურ გამოცდილებასა და სპეციალურ ღონისძიებებში, მათ შორის, პირისპირ საუბრებში გამოცდილ მენტორებთან ფონდის გლობალურ ქსელში.

2020 წელს დაარსებული, **Leaders Europe** ეფუძნება ობამას მემკვიდრეობას და მათ ღრმა ერთგულებას რეგიონისადმი ფოკუსირებული საერთო ღირებულებისა და ეთიკურ ლიდერობის მიმართ. პროგრამა ქმნის ლიდერთა ქსელს, რომლებიც მართავენ პოზიტიურ, ინოვაციურ ცვლილებებს თავიანთ თემებში მთელს კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში. 2023 წლის ევროპის ლიდერები მუშაობენ საკითხების ფართო სპექტრზე და ფოკუსირებულნი არიან სხვადასხვა სფეროებზე, მათ შორის კლიმატის კრიზისი, დემოკრატია და სამოქალაქო ჩართულობა, მრავალფეროვნება და რასობრივი ადვოკატირება, ლტოლვილთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და სხვა.

ობამას ფონდის ლიდერების პროგრამა შექმნილია აფრიკის, აზიის წყნარი ოკეანისა და ევროპის განვითარებადი ლიდერების შთაგონების, გაძლიერებისა და დასაკავშირებლად, რათა შეცვალონ თავიანთი საზოგადოებები და მსოფლიო.

ილია მარტყოფლიშვილი

მელანო ზედელაშვილის სხვა სამყარო

მას პატრიარქმა უთხრა მადლობა კარგი შვილების აღზრდისთვის, ამიტომაც თვლის, რომ ბედნიერი დედაა და სიცოცხლე ამად ღირდა. გაუმართლა მის შვილსაც, რადგან 18 წელი უწმინდესის გვერდით გაატარა. გაზეთ „შირაქის“ დღევანდელი სტუმარი მელანო ზედელაშვილი ა. ჯანმრთელობის პრობლემებმა ის აიძულა, მივიწყებული შემოქმედებითი უნარები გაეღვიძებინა და შვება ხელსაქმეში ეპოვნა. მალე განვითარდა და დღეს ხატვის გარეშე ცხოვრება ვეღარ წარმოუდგენია...

მელანო ზედელაშვილი: „ყოველთვის ვოცნებობდი სამხატვრო აკადემიის სტუდენტობაზე – მხატვრობაზე, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა, თუმცა, ნაადრევად ოჯახის შექმნამ ამ ოცნებასთან დამაშორა. სულ რამდენიმე წელია, რაც შემოქმედებითი მუშაობა დავიწყე. ჯერ ქარგვით, მოგვიანებით საღებავებშიც ვცადე... ვინაიდან სერიოზული ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა, საკუთარი სულის და სხეულის გადასარჩენად ვცდილობდი მთელი ყურადღება გადამეტანა იმაზე, რაც მდგომარეობას შემიმსუბუქებდა. ხატვა ყოველთვის ძალიან მიყვარდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ ბავშვობის შემდეგ შეხება აღარ მქონია ამ საქმესთან. მოწყენილობამ და სევდამ დამაბრუნა ჩემი სანუკვარი ოცნების ასრულებისკენ, რათა ტილოზე გადამეტანა ჩემი შინაგანი განწყობა და ფიქრები.

სამწუხაროდ, სამხატვრო განათლება არ მაქვს. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ნიკოლაძის სახელობის ტექნიკუმში, მაგრამ დედა იყო წინააღმდეგი და სწავლა ვერ შევძელი. თუ რამეს მივაღწიე, ყველაფერი პრაქტიკული და დაუღალავი შრომის შედეგია.

– რისი გამოხატვა გინდათ, რას ამბობენ თქვენი ნამუშევრები?

– ნათქვამია: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“ - ჩემი ნაქარგები და ნახატები შინაგანი განწყობის, ხასიათის და ფიქრების აფიშირებაა. ვცდილობ სიმშვიდე მოვიპოვო. ყველა ნამუშევარი ინდივიდუალურია და იმ პერიოდის ემოციურ ფონს გამოხატავს, როცა შეიქმნა. ისე არ ეწყობა ჩვენი ცხოვრება, როგორც ამას საკუთარ ოცნებებში ვხატავთ და ვგეგმავთ. ბავშვობაში ჩაფიქრებული ლამაზად აშენებული კოშკები ცხოვრების რთულ გზაზე გასაბერი ბუშტივით სკდება და რჩება იმედგაცრუება. როცა გვერდით საყრდენი „კედელი“ გიმტყუნებს, გამოგეცლება და მარტოს გიწევს რთული ლაბირინთების გადალახვა, გულისტკივილი უდიდეს კვალს ტოვებს სულში, რაც აშკარად ისახება ჩემს შემოქმედებაშიც. შვილებს ხშირად უსაყვედურიათ, შენს ნახატ-ნაქარგებს ღრუბელი ვერ მოაშორეო... მიუხედავად უამრავი ცდისა და მონდომებისა, მაინც ჩნდებიან ჩემს ნამუშევრებში ღრუბლები, მარტოხელა იდუმალი ქალები, გამხმარი ხეები. წლების წინ ვერც წარმოვიდგენდი ქარგვა და ხატვა თუ მიხსნიდა უიმედობისგან, იმედგაცრუებისგან, საშინელი სტრესისგან და დამაბრუნებდა მშვენიერ სამყაროში, სადაც სიცოცხლე და სიყვარული ზეიმობს. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც გვერდით დამიდგა და მაზიარა ამ საოცრებას, რასაც ხელოვნება ჰქვია! ლალი უზუნაშვილს, ხატმწერ გიორგი ეგნატაშვილს, მხატვარ გიორგი ალადაშვილს, თექაზე მომუშავე დოდო გოდერძიშვილს და სხვებს. წლების მიხედვით თუ დალაგდება ჩემი ნამუშევრები, როგორც ამბობენ - „გვირაბის ბოლოს“ - ნელა-ნელა ჩემთანაც შეინიშნება სინათლე!

– შემოქმედებითი მუშაობის დროს განწყობა გჭირდებათ, თუ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ხატოთ?

– პროფესიონალი რომ ვიყო, შეიძლება განწყობას არ ჰქონოდა ასეთი დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ჩემს შემთხვევაში, როგორც არაპროფესიონალს, მოყვარულის დონეზე - ხატვის დროს ჩემთვის მნიშვნელოვანია ხასიათიც და განწყობაც. რაც თავი მახსოვს ხელოვნების მიმართ სულ მქონდა დიდი ინტერესი და სიყვარული. ალბათ ჩემს ამ უნარებში ცოტა გენეტიკური ფაქტორიც არის. მყავს ახლო ნათესავები, რომლებიც საუკეთესოდ ხატავენ. ხელოვნება ხომ სულის საზრდოა. მადლობას ვწირავ უფალს, რომ დამაჯილდოვა ამ პატარა ნიჭით.

– როგორ ფიქრობთ, რომ არ გქონოდათ გარკვეული პრობლემები, მაინც შექმნიდით ამდენ ნამუშევარს ასეთი ხარისხით?

– ალბათ ვერა... მარტივი ჭეშმარიტებაა - ტკივილი და პრობლემები უფრო გვაძლიერებს ადამიანებს და გადარჩენის გზებს გვაძებნინებს. მეც ჩემებური გზა მოვძებნე, რამაც უდიდესი ბედნიერება და სიმშვიდე მომიტანა.

– თუ გაქვთ საყვარელი ფერები, თემა?

– იმის გამო, რომ ცოტა ცვალებადი ხასიათი მაქვს, ალბათ ამიტომაც ბევრჯერ საწყისი თემიდან სულ სხვა მიმართულებით წამიყვანია ნამუშევარი. სტილიც და ტექნიკაც სულ სხვადასხვანაირია. ფერებიც ძირითადად ხასიათს ემყარება ხოლმე. ისე კი, თბილ ფერებს ვანიჭებ უპირატესობას.

– როგორც ჩანს უფრო პეიზაჟების ხატვა გიტაცებთ?

– უზომოდ მიყვარს ბუნება, თუმცა ძალიან ბევრი სხვადასხვა თემის სახასიათო ნაქარგებიც მაქვს.

– გამოფენები სად გქონდათ?

– ორჯერ დედოფლისწყაროში მქონდა პერსონალური გამოფენა და მიხარია, რომ მშობლიური რაიონის წინაშე გამოვიტანე ჩემი ნამუშევრები. ინტერესი წამოვიდა დედოფლისწყაროდან, ძალიან გვერდში დამიდგნენ და ლამაზი დღე იყო. მინდა მადლობა ვუთხრა ქალბატონ თამარ თამაზაშვილს, სწორედ მისი ინიციატივითა და დახმარებით ჩატარდა დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში ჩემი ნამუშევრების წარდგენა. ასევე, გამოფენა მქონდა თბილისის სამების საკათედრო ტაძარში და მწერალთა კავშირში ბატონ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებით საღამოზე.

– თუ გაგიყიდიათ ნამუშევარი?

– სამწუხაროდ კი... იმისთვის, რომ შექმნა შემდეგი ნამუშევარი და ხორცი შეასხა ჩანაფიქრს, საჭიროა მასალები, რაც სამწუხაროდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული... ზოგჯერ იძულებული ვარ გავყიდო...

– შვილები...

– მყავს ორი შვილი, ზურა და უჩა ალადაშვილები, ქვეყნისთვის და ოჯახისთვის კარგი ბიჭები, საინტერესო და წარმატებული პირადი ცხოვრებით. უმცროსი, უჩა პატრიარქის სტიქაროსანი იყო 18 წლის განმავლობაში, ასევე მუშაობდა პატრიარქის დაცვის სამსახურში, სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ხშირად ჩანდა პატრიარქის გვერდით. ამჟამად თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციაში მუშაობს, ადმინისტრაციულ მთავარ სამმართვრლოში! სამწუხაროდ, აღარ არის პატრიარქთან. ჩემი შეხვედრები უწმინდესთან ხშირად იყო, როგორც სამების ტაძარში წირვა-ლოცვაზე, ისე საპატრიარქოში. მაგრამ მაქვს ერთი გამორჩეული დღე. ჩემთვის დაუვიწყარია 2009 წელის აპრილის თვე, როცა პატრიარქმა საპატრიარქოში დამიბარა. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი და დაუვიწყარი საღამო. პატრიარქმა დამლოცა და მითხრა: „ყოჩაღ!!! ძალიან კარგი ბიჭების აღზრდისთვის!!! – უჩას სახლში რომ არ ვუშვებ, ხომ არ მიბრაზდები?“ (იცინოდა) მე კი სიხარულისგან ვტიროდი და ვფიქრობდი: „მგონი ამად ღირდა სიცოცხლე, მადლობა უფალს ამ ყველაფრისთვის!“

/გაგრძელება გვ.8/

„ცეკვის სიყვარულმა მომავალი პროფესია აგვარჩევინა"...

ამბობენ: ყოველ ერს თავისი ნიშა აქვსო. ალბათ, ეს მართალიცაა. ქართული ერის გენია სწორედ ცეკვაშია განფენილი. ქართულ ცეკვას შეიძლება რიტმული პოემა ეწოდოს, რომელიც მაყურებელს პლასტიკური სილამაზის ცოცხალ სურათს წარმოუდგენს, ფორმისა და მოძრაობის მთელი სრულყოფილებით. ეს ხელოვნება პოეზიით არის გამსჭვალული, მდიდარია სახეებით, რომლებსაც მუსიკის მსგავსად ილუზიისა და ოცნების სამყაროში გადავყავართ. თვით სიტყვა „ცეკვაც" ხომ ჩვენს ცნობიერებაში რაღაც გრაციოზულის, ნაზის და ჰაეროვანის წარმოდგენას იწვევს.



ანსამბლი „გიორგელები" ამ პოემის წარმოდგენის დიდოსტატად წლებია უკვე, რაც ყალიბდება. ანსამბლი იზრდება, ვითარდება, სწავლობს, იწრთვნება. მასთან ერთად იზრდება ის თაობაც, რომელიც ფიზიკურ სიჯანსაღესთან ერთად, სულიერ სიმრთელესაც აქცევს ყურადღებას. „გიორგელებს" სწორედ ამ თაობიდან ახალგაზრდა ქორეოგრაფები ჰყავს, **ზუკა ქავთარაძე** და **გვანცა ხარაშვილი**, რომლებსაც ცეკვა უმაღლეს წერტილამდე ჰყავთ აყვანილი და დღეს დღეობით, სხვებისთვისაც მოტივაციისა და ენერგიის წყაროს წარმოადგენენ. გაზეთმა რედაქციაში უმასპინძლა ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს და მათთან ინტერვიუ ჩაწერა - ცეკვაზე, მის სიყვარულზე, ბავშვებთან ურთიერთობასა თუ სამომავლო გეგმებზე.

- როგორ და რა ასაკში მოხდა ცეკვით თქვენი დაინტერესება ?

ზუკა: ბავშვობიდან მინდოდა, რომ ხელოვანი ადამიანი ვყოფილიყავი. პირველი კლასიდან ვცეკვავ, მაგრამ უშუალოდ ქორეოგრაფიით მეათე კლასიდან დავინტერესდი. განვლილ გზას თუ რიცხვებში გამოვსახავ, მე-12 წელია, რაც ვცეკვავ. ჩემი პირველი ნაბიჯებიც და ამჟამინდელი მოღვაწეობაც ამ ანსამბლს უკავშირდება. ცეკვა ქართულმა ტრადიციებმა შემაყვარა. მიყვარს ჩვენი, ეროვნული ქართული ტრადიციები. ცეკვა სწორედ ამ ტრადიციებისა და ისტორიის გადმოცემაში მეხმარება. საზღვარგარეთაც მინახავს, როგორ ტარდება ცეკვის გაკვეთილები და როგორ ხდება სხვადასხვა მიმდინარეობების განვითარება, მაგრამ ქართულ ცეკვას ცოტა სხვანაირი შეხედულებები, ქცევები, ნორმები აქვს. ვფიქრობ, ჩვენს ანსამბლებში უფრო ოჯახური გარემოა. სწორედ ასეთ ოჯახურ სითბოს და სიყვარულს რომ ვგრძნობდი, მარტო ამიტომაც შეიძლებოდა, რომ ცეკვა შეგვყარებოდა ადამიანს. პარალელურად, ვუყურებდი, როგორ შეგეძლო ცეკვით მსოფლიოს შემოვლა და ამანაც განაპირობა, ალბათ, მომავალი პროფესიისადმი სიყვარული. ადრე ვმღეროდი კიდეც, ახლა რაც ცოტა წამოვიზარდე, ნაკლებად. სიმღერაც გამომდის, მაგრამ ცეკვა უფრო ახლოსაა ჩემთან.

გვანცა: მეც უკვე დაახლოებით 11 წელია, რაც ვცეკვავ. უშუალოდ ქორეოგრაფია მე-11 კლასიდან დავიწყე. ფაქტობრივად, ერთად გადავწყვიტეთ ამ საქმეში შემოსვლა. ქორეოგრაფიამ უფრო მეტად დამაინტერესა. ძალიან დიდი ხალისი, სიყვარული და მეგობრობაა ჩვენს ანსამბლში. გარდა ამისა, ბავშვებთან ურთიერთობაც მიყვარს. მე უკვე, დაახლოებით, ერთი წელია, რაც ხვიჩა მასწავლებელს ვეხმარები, ზუკამ ახლახანს დაიწყო და ასე, 7 თვეა, ერთად ვავარჯიშებთ ბავშვებს. უნდა ითქვას, რომ წევრობასთან ერთად, პედაგოგებიც გავხდით.

- ბავშვებთან ურთიერთობისას პრობლემებს ხომ არ აწყდებით?

ზუკა: ბავშვებთან ურთიერთობა ძალიან მოგვწონს. მათთან ურთიერთობა ყველა ცუდს და პრობლემატურ საკითხს გავიწყებს. თითქოს ამ დროს შვებას გრძნობ. რა თქმა უნდა, პრობლემებიც არის, შეიძლება ხანდახან სიბრაზე შემოგეპაროს, მაგრამ მერე ვფიქრობთ, რატომ უნდა გაბრაზდე ამ პატარა ანგელოზებზე, ხომ სჯობია, რომ თბილად და ტკბილად დაელაპარაკო. ამიტომ, ასე თბილად და ტკბილად ვასწავლით ჩვენც. ბავშვებს ყოველთვის ერთ რამეს ვუმეორებთ: ანსამბლის გარეთ ყველაფერში მოგვყვებით- თქვენი მეგობარიც ვიქნები, გავერთობი კიდეც თქვენთან ერთად, ვიხუმრებ, თქვენხელა გავხდები, მაგრამ როცა საქმე ანსამბლს, მუშაობას და სწავლის პროცესს ეხება, უნდა მომყვნენ ბოლომდე, დამიჯერონ, მათ ჩემი, მე კი მათი რჩევები გავითვალისწინოთ.

- პრობლემები ახსენეთ. ამ პრობლემების პარალელურად, რა გაძლევთ მოტივაციას ბავშვებს ცეკვის შესწავლაში დაეხმაროთ?

ზუკა: მე პირადად, კონკრეტული მიდგომა მაქვს შემუშავებული. ძირითადად, პატარა თაობას აინტერესებს „მარველის" და სუპერგმირების თემები. ხშირად ამ სუპერგმირების შესაძლებლობს ვადარებთ ხოლმე მათ ძალებს და მოტივაციას ამითაც ვუმაღლებთ. მოტივაციაა, როცა ხედავ რა დიდ ენერგიას დებ, შრომობ და შემდეგ უკვე ბავშვი ამას ასმაგად გიბრუნებს. გრძნობ, რომ ტყუილად არ ჩაგიყრია წყალში ამხელა შრომა, ტყუილად არ გიშრომია, რაღაცას მიაღწიე. პარალელურად, როცა ხალხი უყურებს შენს ნამუშევარს და აფასებს, შენც ამაყი ხარ.

-ჩვენ მხოლოდ მოძრაობებს ვხედავთ სცენაზე, როგორც მაყურებელი, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ კონკრეტული ცეკვა გარკვეული შინაარსის მატარებელია. თითოეული მათგანი რაღაცას გადმოსცემს. როგორ ხდება ამ შინაარსის ბავშვებამდე მიტანა, როგორ ცდილობთ, რომ ეს შინაარსი ბავშვებმა გაიაზრონ?

ზუკა: თითოეული ცეკვის დამუშავებისას ვუხსნით ბავშვებს, როგორი ხასიათი სჭირდება კონკრეტულ ცეკვას, რომელ მოძრაობებს უნდა მიაქციონ ყურადღება. მაგ. ქართულში გოგონების ხელის მოძრაობებს ვაკავშირებთ სიოსთან, ვარდის ფურცელთან თუ ა.შ. ამას იმისთვის ვაკეთებთ, რომ ბავშვი მარტივად მიხვდეს ცეკვის შინაარსს. ბავშვურად და ბუნებასთან ახლოს ყოფნით ვუხსნით. დიდ ბავშვებს იმდენად აღარ სჭირდებათ ამის დეტალური ახსნა.

გვანცა: ბავშვობიდან იციან კონკრეტული ცეკვის შინაარსი. იციან იდეა, თუ რაზეა დაფუძნებული ესა თუ ის ცეკვა, მოძრაობა. მაგალითად, ცეკვა „ქართულში" ქალის ცეკვა ნარნარია, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ის გედივით ცურავს. ეტაპობრივად, ასაკის მატებასთან ერთად იცვლება მიდგომებიც. ხშირია საუბრები ცეკვის ისტორიაზე, მის ძირითად მახასიათებლებზე...

- სამომავლოდ საკუთარი სტუდიის დაარსებასაც ხომ არ გეგმავთ?

ზუკა: გვაქვს იდეაში სტუდიის გაკეთება. სკოლის დამთავრების შემდეგ გვინდა, რომ ამ საქმეს გავყვეთ და ქორეოგრაფიაში დავრჩეთ. მე პირადად ამ ბუმბერაზ ხალხს რომ ვუყურებდი და ვუყურებ, ყოველთვის მქონდა და მაქვს სურვილი, რომ სცენაზე დავბერდე და ბოლომდე სცენაზე ვიდგე. სახელმწიფო ანსამბლში ცეკვა მე პირადად არ მინდა. ცეკვა არ მინდა. ერთი რამ მინდა აღვნიშნო: საერთოდ, მოცეკვავე და ქორეოგრაფი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ქორეოგრაფიაში რომ შემოვაბიჯე, არ მეგონა, რომ ასეთი განსხვავებული სფერო აღმოჩნდებოდა. ბევრმა რაღაცამ გამაოცა. არასოდეს წარმომედგინა, რომ ქორეოგრაფიაში დამჭირდებოდა ხმის ვარჯიში. როგორც მომღერლები ადიან სხვადასხვა ნოტებზე, ისე გვიწევს ბოლო ხმამდე ვარჯიში, თვლების ვარჯიშის დროს სწორი ტემბრისა და ტონალობის შერჩევა. ბავშვებთან წარმოსახვითაც კი გვივარჯიშია. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი.

გვანცა: ქორეოგრაფობა იმდენად საინტერესოა, რომ პროფესიად ავირჩიე. ბავშვების გარეშე ხშირად გაგვივლია რამდენიმე რეპეტიცია, რომ თავიდან აგვეცილებინა შემდეგ პრაქტიკაში რაიმე შეცდომა. ეს იმისთვის, რომ შემდგომ შენი ხმის ტემბრით ბავშვი არ შეაშინო, არ დათრგუნო, რამე ზედმეტი არ წამოგცდეს, და ა.შ. ამაზე მუდმივად ვვარჯიშობთ.

ზუკა: ერთმანეთს ვუდგევართ გვერდში ყველანაირად. გვანცა გოგონების მოძრაობებს მასწავლის, მე ბიჭებისას. ასე მივყვებით ხოლმე შემდეგ რეპეტიციებს.

- რა სირთულე ახლავს ასეთ რეპეტიციებს? მიდგომები თუ გაგიცვლიათ?

ზუკა და გვანცა: დიახ, რა თქმა უნდა. 90% ასე ვართ: გვანცას ბიჭებთან ვამუშავებთ, მე გოგონებთან ვმუშაობ. იმიტომ, რომ უფრო შევეჩვიოთ ორივე ჯგუფთან მუშაობას. თავიდან ეცინებათ, როცა ანსამბლში ვარჯიშისას გოგონებთან ერთად წრეებზე დავდივარ. ამას მოძრაობების დასახვეწად ვაკეთებ. ეცინებათ, რომ ბიჭია და გოგონების მოძრაობებს აკეთებსო, მაგრამ რეალურად მერე უკვირთ, რა კარგად აკეთებ ყველა მოძრაობასო. ასეა, სრულყოფილებისთვის შრომაა საჭირო, როგორც ერთ სქესთან, ასევე მეორესთან. ეს სათაკილო არაა.

- რომელია თქვენი საყვარელი ცეკვა?

გვანცა: ძველი ყაზბეგური.

ზუკა: ხორუმი, იმიტომ, რომ ტრადიციებს უფრო მეტად გადმოსცემს. თან ამ ცეკვაში უამრავი რაღაცის გაკეთება შეიძლება. ჩვენი თანამედროვე გმირები არავის უნახავს ხორუმში, მაგალითად, ანწუხელიძე გიორგი. ხორუმი, ტრადიციების გადმოცემის კუთხით ერთ-ერთი კარგი ცეკვაა. გარდა ამისა, მიყვარს ისტორიასთან, ბრძოლებთან დაკავშირებული ცეკვები. თანაც, ჩემი პირველი კონცერტი და სასცენო გამოსვლა ხორუმი იყო.

- ისტორია ახსენეთ. რამდენად ღრმად ეცნობიან ბავშვები ამ ისტორიებს, რაც თითოეულ ცეკვაში დევს? კითხვა თუ ებადებათ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ სჭირდებათ ამა თუ იმ გმირის ისტორიის ცოდნა მოძრაობების დახვეწაში?

ზუკა: ცეკვის ილეთების სწავლების მიღმა ჩვენი მოვალეობა ეგეცაა, რადგან ჩვენ როლში შესვლასაც ვასწავლით ბავშვებს. არ აქვთ უფლება აბუჩად აიგდონ ჩვენი გმირები. ვეუბნებით, თუ როგორ ძლიერად იბრძოდნენ ჩვენი პაპები, მათი მამები და ა.შ. როგორ მოიტანეს ჩვენი მიწა დღევანდლამდე. ვეუბნებით, რომ ჩვენი ცეკვით წარმოვაჩენთ იმ გმირებს, რომლებმაც ჩვენ შეგვინარჩუნეს სამშობლო. შესაბამისად, უკვე ინტერესდებიან. კითხვებიც ებადება ამა თუ იმ ტრადიციასთან დაკავშირებით. საუბარში უამრავი კითხვა წამოსულა და ასე გადავცემთ ჩვენც ერთმანეთს ისტორიებს. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენც რაღაც გამოგვრჩენია და ბავშვებს უთქვამთ, გვისწავლია მათგან.

გვანცა: ჩვენი წინაპრების სულისკვეთება ეხმარებათ ბავშვებს, ამ ისტორიებში ბოლომდე გამოგვყვნენ. როგორც ზუკამ აღნიშნა, საუბრებით, ერთმანეთის აზრთა გაცვლა-გამოცვლით მივდივართ საერთო ინტერესამდე. მუშაობაც უფრო საინტერესო და ამაღელვებელი ხდება. ბავშვებისგან ყოველთვის შეიძლება რაღაც ისეთის გაგება, რაც გაგაკვირვებს და, პარალელურად, დაგაფიქრებს კიდეც. სხვა კუთხით დაგანახებს ამა თუ იმ საკითხს, მოვლენას.

- თქვენი ანსამბლი ხშირად მართავს საქველმოქმედო კონცერტებს...

ზუკა: ეს საქმე იმიტომაც მომწონს, რომ ის სიკეთეს და ქველმოქმედებასაც ემსახურება. ჩვენთვის ეს მხოლოდ კონცერტები და სცენაზე გამოსვლა არაა. „გიორგელებმა" ძალიან „მივაჩვიეთ" ხალხი მსგავს კონცერტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქმიანობა ჩვენმა ხელმძღვანელმა შეგვაყვარა. ის მუდამ სიკეთის კეთებას გვასწავლის. ყოველთვის სიკეთის მომხრეა და სიკეთეს თესავს, სადაც კი შესაძლებლობა მიეცემა. ჩვენც, ამ ყველაფერს ვხედავთ და ვიაზრებთ, რომ შეგვიძლია გაჭირვებულ, მრავალშვილიან თუ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს დავეხმაროთ. ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. სულ ახლახანს მე-12 საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარეთ. ბედნიერები ვართ, რომ გვაქვს იმის შესაძლებლობა, მცირედით, მაგრამ დახმარების ხელი მაინც გავუწოდოთ ამ ადამიანებს.

- რას ეტყვით ახალგაზრდებს, ვისაც ჯერ ვერ გადაუდგამს ნაბიჯი და ცეკვის სამყაროში შემოსვლის ეშინია ან ერიდება საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამო?

ზუკა: ვეტყოდი, რომ გაბედონ, ყოველთვის იბრძოლონ და შედეგი აუცილებლად დადგება. შეიძლება აბსოლუტური სმენა არ გქონდეს ადამიანს, მაგრამ საკუთარ თავზე იმდენი იმუშავო და იშრომო, რომ პატარა ნაპერწკალიდან ცეცხლი გააჩაღო. ცდა უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

გრიგოლ რობაქიძემ საგანგებო რეცენზია („ქართული გენია როკვით განფენილი") მიუძღვნა ქართული ცეკვის ფენომენის დახასიათებას. იგი წერდა: „ასეთი ხალისი, ასეთი ლხენა - საუკუნეებში ტანჯული საქართველოს წიაღთაგან! არაა ეს საკვირველი? სადღაც უნდა მეთქვას: ყოველი წვეთი სისხლისა, საქართველოს დედულ-მამულისათვის დანთხეული, მზის სხივად ესხმოდა ქართულ მიწას. ახლა ვამბობ: საქართველო დაჭრილი მზეა! „დაჭრილი მზე" - მაგრამ მაინც მზე!" ქართველი კაცის სულია ჩაქსოვილი ქართულ ცეკვაში. მასში, როგორც ქართლის ცხოვრებაში, ისე იკითხება ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი და მრავალწახნაგოვანი ისტორიის საინტერესო ფურცლები. წარმატებები ვუსურვოთ ამ ისტორიის შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის საქმეში ჩვენს ახალგაზრდა ქორეოგრაფებს.

თქვენ „დაჭრილ მზეში" კითხულობთ ეროვნულ სულს, ქართველის დამოკიდებულებას ბუნებასთან, საზოგადოებასთან, სხვა ადამიანებთან, სიკვდილ-სიცოცხლესთან, მის მსოფლხედვას, ღირებულებით ორიენტაციას, ხასიათს, ტემპერამენტს, ნიჭიერებას... მრავალ თაობათა აღზრდას გისურვებთ...

ინგა შიოლაშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

„სიმამაცეა შვილის გაჩენა, მაგრამ დედობა ნიშნავს გმირობას“

დედაშვილობა - თემაა, რომელსაც ყველა სათუთად და განსაკუთრებული გრძნობითა და ემოციებით უდგება...ამ თემას პოეტები უძღვნიან ლექსებს, მუსიკოსები - მელოდიებს და მხატვრები - ცნობილ ტილოებს. სწორედ, მათ გამონათქვამებს გთავაზობთ, რომელიც დედის, როგორც ჩვენი ცხოვრების მთავარი ადამიანის დიდ მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ დაგარწმუნებთ.

ოთარ ჭილაძე წერდა: „დედა სხვაა და ცოლი სხვა, დედა, შეიძლება კუზიანი იყოს და გიყვარდეს, სოფლის გიჟივით შარა-შარა დაწანწალებდეს კაბაწამოხდილი და მაინც გიყვარდეს, რადგან იმის გაჩენილი ხარ, ღმერთმა დაავალა იმას შენი დედობა და ამით თავიდანვე, გაჩენამდე მოგისპო არჩევანის უფლება. ამიტომ ვერავინ დაგძრახავს მახინჯი თუ გიჟი დედის გამო, რადგან იმავე ღმერთმა, შენ რომ დედის არჩევის უფლება წაგართვა, სხვებს — თავისთავად შენი განკითხვის საშუალება მოუსპო. ცოლი კი სხვაა, ცოლს კაცი ირჩევს და ამ არჩევანში გამოჩნდება ხოლმე კაცის გემოვნებაცა და ღირსებაც. მაგრამ რაც უნდა გემოვნებიანი და ღირსეული იყოს კაცი, მაინც შეიძლება შეეშალოს არჩევანი. ეს უკვე ბედის საქმეა, ბედის კი არა - უბედობის.“

„დიდია სამყარო, დიდი და ამოუცნობი, ახელ თვალებს და ნელ-ნელა ბინდი იწმინდება, ნელ-ნელა ყველაფერი, ყველა საგანი თავის სახეს იღებს, ამოუცნობი ფერი ნათდება და იკვეთება, სახე მომღიმარი, ალერსიანი, მშვენიერი, დედის სახე....

პირველი სიტყვა, რომელიც ჩვენი ბაგეებიდან ისმის, ეს არის დედა. დედაა ჩვენი სიცოცხლის წყარო, რომლის თვალებშიც ყოველთვის იკითხება ჩვენდამი დიდი სიყვარული. სიტყვა „დედა“ ისეთი წმინდა და სათუთია, ჩვენში მუდამ ნაზ გრძნობებს აღძრავს. ოდითგანვე საქართველოში ქალის, განსაკუთრებით კი დედის კულტი იყო. სოლოლაკის მთაზე მდგარი ქართლის დედაც ამას მოწმობს. ქართულ ენაში ყველა მთავარი სიტყვის ფუძე დედაა: დედა-მიწა, დედა-ბუნება, დედა-სამშობლო, დედა-ბურჯი,დედა-კაცი,დედა-ბოძი, დედა-ქალაქი, დედა-აზრი, დედა-ენა, დედა-ისტორია....

დედა რომ არა არ ვიქნებოდით არც ჩვენ. განა კი არსებობს რამე უფრო წმინდა და სათუთი? მას ხომ ისეთები ვუყვარვართ როგორებიც ვართ, გვპატიობს შეცდომებს, გვაძლევს რჩევა დარიგებებს, გვასწავლის სწორად როგორ ვიცხოვროთ“....

გენიალური ციტატები დედაზე:

1. „სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის“... - გოდერძი ჩოხელი;

2. „ლოცულობს დედა და ლოცვის სითბო ცხრა მთის გადაღმა შვილის გზაზე იებად ამოდის...“ - ვაჟა ხორნაული;

3. „რისი უნდა ეშინოდეს ადამიანს, როცა დედა გვერდითა ყავს და თანაც გათოშილ ფეხებზე თბილ წინდებს აცმევს.“ - გოდერძი ჩოხელი;

4. „დედა მარტო დედა არაა! ყველაფერია რაც ამ ქვეყანასთან გვაკავშირებს, რასაც სიცოცხლე ჰქვია, რასაც სული უდგას და მზე უცქერის“. — ოტია იოსელიანი;

5. „ყოველთვის ვიცოდი, რომ თუ მთელი სამყარო ზურგს შემაქცევდა, დედა მაინც, მუდამ ჩემს გვერდით იქნებოდა!“ - ოტია იოსელიანი;

6. „თუ დედა არ გენატრება და არც არაფრის გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ჰქონია შენთვის. დედის მონატრებაა ადამიანობა“-ოთარ ჭილაძე;

7. „მინდა ყველას გითხრათ, რომ ყველა დედა ამქვეყნიური ანგელოზია და ვისაც ცოცხალი გყავთ, ღმერთმა ყველას დიდხანს გიცოცხლოთ; ვისაც არა, ღვთის საუფლოში გაგინათლოთ“. - გოდერძი ჩოხელი;

8. „გწამდეს, დედის ლოცვას საიდუმლო ძალა აქვს“. - ლეო ქიაჩელი;

9. „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდისო“ - გიორგი ლეონიძე;

10. „ერთადერთი სიყვარულის, რომლის არსებობისაც მჯერა, ესაა დედის სიყვარული შვილისადმი“ - კარლ ლაგერფილდი;

11. „მაინც როგორ ათბობს გულს ბავშვი!... რა სრულფასოვანია დედის ცხოვრება!“- დევიდ ლოურენსი;

12. „მაშინ არ იცოდი ასე რა გიზიდავდა დედის ხმასა და გამოხედვაში -თურმე ღმერთის სითბო ყოფილა“. - ვაჟა ხორნაული;

13. „დედის სიყვარულზე წმინდა და უანგარო ამქვეყნად არაფერია“ - ბესარიონ ბელინსკი;

14. „დედის ხელები სინაზისა და სათნოების განსახიერებაა!“ - ვიქტორ ჰიუგო;

15. „ვნატრობდი უბრალო ხალათს, დედის ძვირფასი ხელით შეკერილს“ - ლადო ასათიანი;

16. „ლოცვის დროს დედის სულს მირონი სდის“. - ნიკო ლორთქიფანიძე;

17. „სიმამაცეა შვილის გაჩენა, მაგრამ დედობა ნიშნავს გმირობას.“ - შოთა ნიშნიანიძე;

18. „დედობა დიდი ცოდნაა, უფრო ზუსტად, სიბრძნეა, ოღონდ, დედობაში მარტო ბავშვის გაჩენა არ იგულისხმება. ბავშვის გაჩენის უნარი და დედობის უნარი სხვადასხვა ცნებებია.” - ოთარ ჭილაძე;

19. „შვილი დაინახა და წელში გაიშალა, როგორც ყვავილი წვიმიდან გამოსული“. - ვაჟა ხორნაული;

20. „შვილს რომ მკლავზე გადაიწვენს, დედა ჯვარს ემსგავსება

- სწორედ ეს ჯვარი გადაარჩენს სამყაროს“. - ვაჟა ხორნაული;

21. „ჩვილმა დაიძინა და ახლა თვალებით ღიღინებს იავნანას დედა“ — ვაჟა ხორნაული;

22. „მაშინ არ იცოდი ასე რა გიზიდავდა დედის ხმასა და გამოხედვაში – თურმე ღმერთის სითბო ყოფილა“. - ვაჟა ხორნაული

23. „სინათლეზე თბილი და მსუბუქია დედის ხელები, რომლებიც ჩაძინებულ შვილს ეფერებიან“... - ვაჟა ხორნაული;

24. „ძილის წინ იტყოდა დედა: „ღმერთო უშველე ჩემ შვილებსა“. მაშინაც ესა თქვა სამარეში როცა ჩაასვენეს“. - ვაჟა ხორნაული;

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია გილოცავთ ქალთა დღესასწაულებს. გისურვებთ უღრუბლო ზეცას, შვილთა ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სულიერ სილამაზესა და სიძლიერეს.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

რევაზ ინანიშვილი – „დედა“



— დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი. დამხვდა საცოდავი დედაჩემი – თითებდამჭკნარი, მაჯებდაწვრილებული. მაინც მიღიმოდა და ისე მეუბნებოდა,– ხან ვწევარ, შვილო, ხან აი, ასე დავრაცრაცებო.

ვიყავი ერთ ღამეს და ერთ დღეს – თითქოს ეზო-ყორის მოწესრიგებით გართული, სინამდვილეში რაღაც ცოდვით შეწუხებული. მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვედი.

ჩვენი რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო,– სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო. დავიწყე მე სიცილი,– რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია, ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი. –არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი არ დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად. დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე,– წაიღე, შვილოო,– შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით – წადი-მეთქი ახლა! – მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდეც, მივიხედე და დგას ისევ, მაღლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. – წადი-მეთქი, წადი! გაბრუნდა, წავიდა. მე თავქვე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

– დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ აღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედების სიჯიუტეზე.

ის კი იყო და ის – ცოცხალი აღარ მინახავს დედაჩემი. დეკემბრის თექვსმეტში, ღამით, თერთმეტ საათზე, უწვალებლივ დაელია სული და დამრჩა ამ ფარნის შუქი სამუდამო დარდად.

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! თუ სულაც ცუდად გახდა, ჩაჯდა, ველარ წამოდგა და იყო ასე, – ფარანზე დაყრდნობილი?! კიდევ უარესი – სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...

„სანამ დედა ცოცხალია “...

„სანამ დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ლაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მზერას, რადგან დედაა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ეღობება და მისი მწველი მზერისაგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის ალმოდებულ მზერაში.

წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სილაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შვილებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მზერისაგან. რაც ხანი მიდის, ძალღონეს გაცლის ეს დამთრგუნველი მზერა და ერთი წამითაც არა გცილდება, სულ თან დაგდევს და გულ-ღვიძლს გიწვავს ქვეშეცნეულად.

შენ კი მაგრობ, მაგრამ თავისი მიაქვთ გარდასულ დღეებს, თანდათან მუხლებში ძალა გელევა, ახალგაზრდობის ოცნებები უფერულდება და გრძნობ, როგორ თანდათან იზრდება შენს არსებაში შიში, სიკვდილის მზერით თუ რაღაც გარდაუვალობის შეგრძნებით გაჯერებული შიში, რომელსაც არავის არ უმხელ და ვერც გაუმხელ, რადგან ერთადერთი ადამიანი, დედა, რომელსაც შეიძლება რომ გაუმხილო ეს შიში, წასულია ამ ქვეყნიდან...

შენ კი მარტო ხარ და ხან დედისაგან გაკეთებულ საჭმელს ნატრულობ, როცა გშია, ხან დედისაგან მოქსოვილ ხელთათმანებს, ან წინდებს, როცა გცივა და შენ თავსაც კი არ უმხელ, ისე იძინებ იმსურვილით, რომ იქნებ სიზმარში ნახო დედა, იქნებ სიზმარში მაინც განმეორდეს ის საოცარი იმედიანი მოფერება, ადამიანის სულიდან სიმარტოვესაც რომ აფრთხობს და არარაობის განცდასაც, სამაგიეროდ კი ხალისითა და იმედით გავსებს“.

გოდერძი ჩოხელი

"ლოკულობს დედა და ლოკვის სიობო ცხრა მთის გადაღმა შვილის გზაზე იებად ამოდის.."

ციცი გურიელი: ცაში შვილებფგაფრენილ, განსაკუთრებით ჩემნაირ დედებს ვიხუტებ გულში! დედის დღეს ვულოცავ ყველა დედას!

ყველაზე ლამაზ არსებებს, სათნოების სახლებს, იისფერ ცრემლებს, უნაზეს ღიმილებს, უძილო ღამეებს, ლოცვიან გზებს, დაძარღვულ ხელებს, ფიქრიან თვალებს, სიცოცხლის დამბადებლებს, სამყაროს მომავლის საწყისებს დედამინაზე!!!

განსაკუთრებით მინდა ჩემნაირ, შვილმკვდარ დედებს მოვეფერო! ნუ გეშინიათ-შვილები ზეციერ ანგელოზებად გვეფერებიან და გვლოცავენ!

ჩვენთვის ფერებგახუნებულია ეს ლამაზი დღესასწაული...მე ახლა სიტყვებიც სადღაც მეკარგება... მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება მოშვების, დაბეჩავების, განადგურების, ცრემლში და სევდაში ჩახრჩობის, დარდით დაღამება გათენების... იმიტომ, რომ ისევ ჩვენ შვილებს ვჭირდებით! იმიტომ, რომ დედები ვართ და დანარჩენ შვილებს არ უნდა ვატკინოთ გული, სიცოცხლე უნდა ვუფერადოთ, აღვზარდოთ, დავაფრთიანოთ და ცხოვრების გზაზე დავაყენოთ, დედის ლოცვით გავუნათოთ და გავუთბოთ ყოველი წუთი!

-იხარეთ! იდღეგრძელეთ! იბედნიერეთ დედებო! ყველაზე ძლიერებო, ყველაზე ლამაზებო და განსაკუთრებულებო, უმშვენიერესო არსებებო-დედებო!

ნონა ჯიბლაშვილი: - თქვენი დედობა ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი გამარჯვება და აზრია! მადლობა უფალს, რომ ამ უკიდეგანო სამყაროში, მე ამირჩიეთ! რომ ხართ ასეთები, როგორიც ხართ და რომ მაბედნიერებთ! (მაბრაზებთ კიდეც ,თუმცა არც უამისობა იქნება ყველა ჩვენგანი ერთად და ცალ ცალკე ძლიერი პიროვნება ვართ და ერთ აზრზე ვერ ვიქნებით!თქვენი დედობა, ჩემი ცხოვრების და არსებობის გამართლებაა!

დედის დღე!

კი ეს ჩემი დღეა! ნამდვილად ჩემი. 35 წელია, დედობის ამ დიდ ტვირთს, მადლსა და სიხარულს მხრებით მარტო დავატარებ! და ეს დედობა, ჩემი დღესასწაულია! უფალმა იცის, ვის რა გვჭირდება, ორი ვარსკვლავი მინათებდა გულს, მერე მოვიდა სალომე და სული გამითბო ! მოვიდა და მოსვლაც ასეთი უნდოდა, სამ წელში სამი შვილიშვილი, სამი ფეიერვერკი აგვიბრიალა და სული გამინათა ! და შენ უფალო! მადლობა ამ ყველაფრისთვის! კი დღეს ჩემი დღეა! ბედნიერი დედობა თქვენ ყველას!!

***

„ეს გაზაფხული მე მოვიყვანე“ -

ბესიკ ხარანაული

არასოდეს „მომიყვანია ეს გაზაფხული“.
ის მოდის ხოლმე ჰერიოდულად - კომისია,
რომელმაც უნდა კიდევ ერთხელ შეამოწმოს
ჩვენი სიცოცხლის ძველი უხარი.
ზუსტად აღხუსხოს,
რამდენ კვირტს მალავს ხეების ტანი,
ველ-მინდვრები - რამდენ ბილიკას.
რამდენ მზის სხივს - დღეების ჰეშვი,
ბალახს - ქვისძირი, ბელტებს - ძოწა,
სილურჯეს -ზეცა, სივრცეებს - ფრთები,
რამდენ სიყვარულს - ადამიანის ჰატარა გული,
რამდენ ვარსკვლავს - ჩამქრალი მზერა...
მე არასდროს მომუავს ხოლმე გაზაფხულები,
გეფიცებით.
ვის რად უნდა ამხელა სტრესი.
ამდენ სიბნელეს რა სინათლე ეყოფა მაინც?!
კანონის ენა არავის ესმის,
ყველას თავისი ზამთარი უყვარს -
ხელს შეახოცავ თავისუფლად მოკლე დღეს და
ყველაფერს კვამლს გადააბრალებ...
თავადაც ხომ არ გაწუხებს, არც რამედ გაგდებს,
არც გთვლის ა რ ა ფ რ ა დ.
გაერიდეთ ამჰარტავნულ ჯრელ გაზაფხულებს,
ეცადეთ, თვალში არსად მოხვდეთ,
რადგან ყველაფერს მხოლოდ ფიარის გამო აკეთებს,
დაგვაფეთებს, სხვა არაფერი
დიდი ვინმე რომ გვეგონოს,
რომ გვეშინოდეს...
მთების სიმწვანეც გახრიოკდება,
ამ ტყეების აფერადებაც,
ეს ხეები ისევ ისე შეიბრუნებენ ძილს და სიუჩეს,
ეს ქუჩებიც ისევ ისე რუხთვალება უიმედობით იქნება სავსე,
არაკის ერთი თბილი სიტყვაც კი არ დასცდება,
ჯორფლიც განა რა?!
მზეც შორსაა.
გაივლის, წავა
და არავინ შეგიმცირებთ დარდსა და ნაღვეელს -
სრული, მუდმივი შტატით არსებობს.
სიმარტოვესაც აქ არაფერი დაემუქრება,
ოღონდ ახლა გაუძელით ამოვარდნებს მზის სიზმრებიდან.
ხელის გულს ვადებ აუვავებულ ნუშის ხეს და ასე ვიფიცებ.
არასოდეს დამაბრალოთ,
„რომ გაზაფხული მე მოვიყვანე“.
სადღა გვაქვს ძალა ადამიანებს მისი გაძლების.
„ესეც გაივლის...“

მარიამ წიკლაური,
2017 კრებულიდან „ქუჩის გადაჭრა“.

ხათუნა ბაბუხაძე, მხატვარი: -„ამ ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს დედა, რაღაცნაირად გადაჯაჭვულ- გადახლართულები ვართ ერთმანეთზე, მითუმეტეს ჩემით არასდროს არის კმაყოფილი და სულ მაკრიტიკებს. იშვიათად თუ გაიმეტეს ორიოდე თბილ სიტყვას , მაგრამ მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ სული გამომიწრთო და მებრძოლ პიროვნებად მაქცია.

მე რომ დედა ვყოფილიყავი, ზუსტად ვიცი, ანალოგიურად, დედის მსგავსად ავღზრდიდი შვილს, თუმცა იმდენად ოპტიმისტი ვარ, გულის სიღრმეში მწამს, რომ უფალი ამ ნატვრას ამიხდენს. ყველას გილოცავთ დედის დღეს!

ლევან სონღულაშვილი: „არასდროს იცი, როცა ჩამქრალ გაზქურაზე ჩაიდანს ტოვებ და შინიდან გადიხარ, კვლავ დაბრუნდები, თუ არა. დედა, ჯანმრთელობის დიაგნოზის გაგებისთანავე, ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად; ბავშვობის ბინაში მივაკითხე, საჩქაროდ, მისი წვრილმანი ნივთები, რაც ხელში მომხვდა, ჩანთაში ჩავყარე და კლინიკას მივაშურეთ. ბინის დატოვებამდე ჩაიდანი ჯერ კიდევ თბილი იყო, ეტყობა, ტრადიციულად, ყავის მოსამზადებლად წყალი აადუღა.

შვიდ თვეში გარდაიცვალა... ბავშვობის ბინაში დავბრუნდი, ერთდროულად, მძიმე და ნოსტალგიური აღმოჩნდა. თითქოს, მისი პულსაციის ექოც ჩამესმა. უცნაურია, ყველაფერი ძველებურად გამოიყურება, ზუსტად ისე, როგორც მის სიცოცხლეში, თუმცა ეს მხოლოდ წარსულის ანარეკლია, აღარაფერია ძველებურად, ტანსაცმლის კარადიდან ველარ აარჩევს ჩემ მიერ ნაჩუქარ კაბებს, ვერც იმ საყურეს გაიკეთებს დაბადების დღეს რომ ვუსახსოვრე, ვერც ამ ფორტეპიანოზე შეასრულებს ყანჩელს, ანი, ტელეფონის ყურმილიც მუდამ ხელუხლებელი იქნება.

ის ჩაიდანი, ჩამქრალ გაზქურაზე... ცივია, ცარიელი, წყალიც ამომშრალა. ასეთივე ამოუვსებელი სიცარიელეა ჩემში. და მაინც, არასდროს იცი, როცა ჩამქრალ გაზქურაზე ჩაიდანს ტოვებ და შინიდან გადიხარ, კვლავ დაბრუნდები, თუ არა“.

გია მურღულია: „ყოველ დილას, ბინიდან რომ გავდივარ, წიგნების თაროდან დედაჩემის ფოტო მიღიმის და იმ დღეს გასავლელ გზას, ფიქრსა და ქცევას დამილოცავს ხოლმე - მეშვიდე ათეულს ვამთავრებ და ერთი წამით ეჭვი არ მეპარება, რომ ასეა.

ამ ღიმილს ისეთი ძალა აქვს, სხვას რომ ვერავის და ვერაფერს დაუკავშირებ.

ის დაუმარცხებელია.

როგორც ჩანს, ღმერთმა რომ სამყარო შექმნა, სწორედ დედას დაავალა, ყველაზე ძლიერი ყოფილიყო.

და - ყველაზე მშვენიერიც.
და - ყველაზე თბილიც.
და - ყველაზე საყვარელიც.
და - ყველაზე იდუმალიც.
და - ყველაფერზე აღმატებულიც.

დედა და სიცოცხლე ერთი და იგივეა.

მე არ ვიცი, სად არის ახლა დედაჩემი (ღმერთი მას ცუდი ადგილისთვის ვერ გაიმეტებდა), მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სულ ჩემთან არის.

დარწმუნებული ვარ, ყველა ადამიანი ასე ფიქრობს (თუ არა - მას ადამიანს ვერც უწოდებ).

გილოცავთ დედის დღეს - ამქვეყნად რა უნდა მოხდეს, რომ ის ღიმილიანი არ იყოს?!“

ნოდარ დუმბაძე: „დედაშენი არის ღმერთი! შენ რომ ზიხარ და უყურებ. ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შვილს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის?

შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, **წვი**მა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ სწამთ ღმერთისა.

ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!

ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გილიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, სცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო..

აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა, ღმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ ggავს, მე რომ

მgავს, დედაშენს რომ ჰgავს, გასაგებია?!“

„გავულამაზოთ დედის დღე ყველას“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის „იბერია“ (ხელმძღვანელი ლელა ჯიღიაშვილი) უფროსკლასელმა წევრებმა, 3 მარტს, ჩაატარეს აქცია სახელწოდებით- **„გავულამაზოთ დედის დღე ყველას“**.

მათ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში არსებულ ტერიტორიაზე ყველა შემხვედრ ქალბატონს ყვავილებითა და ბუშტებით მიულოცეს ეს თარიღი და ბედნიერი დედობა უსურვეს მათ.

„ძალიან საინტერესო და მოულოდნელი აქცია იყო. მათ მოულოდნელი სიხარული გვაჩუქეს და ეს დღე მართლაც გაგვილამაზეს. დიდი ხანია ასე არავის გავუხარებივარ“ - აღნიშნა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

სისხლის უფასო დონაციის აქცია გაიმართა

2 მარტს დედოფლისწყაროში სისხლის უფასო დონაციის აქცია გაიმართა. საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობა თვითმმართველობისა და ა(ა)იპების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი ნებაყოფლობით გაიღეს: დედოფლისწყაროს მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა, მირზაანის მერის წარმომადგენელმა, ქალაქ დედოფლისწყაროსა და სოფელ სამრეკლოს ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებმა, სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლებმა, კომუნალური მომსახურების ცენტრის, ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული სიმღერისა და გალობის სკოლის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის, სახანძრო-სამშველო სამსახურის, სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრისა და გაერთიანებული წყალმომარაგების დედოფლისწყაროს სერვისცენტრის თანამშრომლებმა. დონაციის აქციაში 36-მა დედოფლისწყაროელმა მიიღო მონაწილეობა.

სისხლის უფასო დონაციის აქცია იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით განახორციელა.

„ჩვენი მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარება. პერმანენტულად ვატარებთ მსგავსი შინაარსის აქციებს. აქცია კახეთის რეგიონის ყველა ქალაქში ჩატარდა. დედოფლისწყარო ბოლო ქალაქი იყო, სადაც უკვე მეორედ ვიყავით ჩამოსულები. დონაციის აქციაში გვერდით დაგვიდგა „ქართული ოცნება“ და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია. ამისთვის მადლობა მათ. “ – აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას იაშვილის კლინიკის სისხლის ბანკის წარმომადგენელმა.

„ატომური სადგურის მშენებლობა წითელწყაროში იგეგმებოდა“

წითელწყაროს რაიონში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა იგეგმებოდა და ამისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად ითვლებოდა წითელწყაროს ტერიტორია. ამის შესახებ ინჟინერი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, 1991-1995 წლებში საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი **ბაკურ გულუა** აცხადებს. ატომური სადგურების შესახებ მან დღემდე გამოუქვეყნებელ ისტორიებზე საჯაროდ პირველად ისაუბრა იაგო ხვიჩიას ინტერნეტ გადაცემაში „საქართველოს დაბადება“.

„ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა გალსა და დედოფლისწყაროში იგეგმებოდა. რაკი საბჭოთა უსაფრთხოების სისტემა საიმედო არ იყო, ამას ხელი შევუშალე და შევარდნაძეს დავუდე მაგიდაზე. ეს მე ვთქვი 1978 წელს და 1986 წელს უკვე ჩერნობილში დადასტურდა, რომ მართალი ვიყავი. ერთ დროს დედოფლისწყარო იყო მიჩნეული საუკეთესო ადგილად, რომ იქ უნდა აშენებულიყო. ბიუროში მენთეშაშვილმა და ქვისლმა მოსაშვილმა (ედუარდის მძახალი) ბევრი იკამათეს, გულწასული წაიყვანეს. მოსაშვილი მტკიცე კაცი იყო და ძალიან ინერვიულა. ერთი ქიზიყი დაგვრჩა და ისიც გინდათ ატომური სადგურის მშენებლობით მოწამლოთო? მაშინ ნათქვამი იყო, რომ ზღვასთან ახლოს მხოლოდ საკურორტო ზონები უნდა გაშენებულიყო, ამას ჩავჭიდე ხელი და ამ არგუმენტით შევეწინააღმდეგე. კატასტროფის შემთხვევაში შავ ზღვაში ჩაღვრილი მავენე რადიაციული მასალა უფრო სახიფათო იქნებოდა, ვიდრე ჰაერში გავრცელებული ღრუბელი,“ – აღნიშნა ბაკურ გულუამ.

4 ოქრო კიკბოქსინგში

დედოფლისწყაროს კიკბოქსინგის გუნდი „ჩემპიონი“-სთვის წარმატებული აღმოჩნდა ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი კიკბოქსინგში „რუსთავის მერიის თასი“. 6 ფინალიდან ოთხმა სპორტსმენმა ჩემპიონობა მოიპოვა და ასახელა რაიონი. სულ – 4 პირველი, 2 მეორე; 3 მესამე ადგილი მოიპოვეს.

ჩემპიონები გახდნენ: **სოსო ჯავახიშვილი** 51კგ; **ლაშა ჭუბაბრია** 54კგ; **გიორგი ჯამასპიშვილი** 57კგ; **ნიკა თარალაშვილი** 75კგ.

მეორე ადგილი: ბექა ნაროზაული 60კგ; ლუკა ზურიკაშვილი 80კგ. **მესამე ადგილი:** ლუკა ჩაჩანიძე; გიორგი ბაღდასარიანი; ლუკა ტუმასიანი.

თამაზ ყარაგვეზაშვილი (მწვრთნელი): „ბიჭებმა კარგად იასპარეზეს, თითქმის ყველა წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილი მოვიპოვეთ სხვადასხვა სინჯის მედლით. ტურნირამდე შეძლებისდაგვარად გავიარეთ როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური მომზადება და ეს შედეგებზეც აისახა.

51 კგ. წონით კატეგორიაში სოსო ჯავახიშვილმა არა მხოლოდ ჩემპიონობა მოიპოვა, არამედ, მსაჯებისა და მაყურებლის სიმპათიაც დაიმსახურა. სოსოს შეუძლია ორთაბრძოლა აზრიანად ანარმოოს, შედეგიანი გათვლები ჰქონდეს, შემხვედრი დარტყმები მოიშველიოს. რინგზე ასეთი მანერა ბრძოლას სილამაზესა და აზარტს მატებს.

54 კგ. კატეგორიაში ლაშა ჭუბაბრიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა პირველობა. მან ყველა ორთაბრძოლა ქულათა უპირატესობით დაასრულა. გამორჩეულად ლამაზი და ტექნიკური დარტყმები შეუძლია შეასრულოს.

57 კგ. წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო გიორგი ჯამასპიშვილი. მან გააოცა თანაგუნდელები თავისი შემართებით და ბრძოლისუნარიანობით. დაამარცხა ისეთი მეტოქეები, რომლებთანაც გამარჯვების მიღწევა სათუო იყო. თანაც ისეთი უპირატესობით მოიგო, რომ არცერთ მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა. გიორგიმ კარიერაში ნამდვილი ნახტომი გააკეთა.

63,5 კგ. წონით კატეგორიაში ფინალი შედგა დედოფლისწყაროელ ბექა ნაროზაულსა და ქარელში მცხოვრებ კიკბოქსინგელს შორის. თანაბარ ორთაბრძოლაში ფეხის დარტყმებით, მცირე უპირატესობით მსაჯებმა გამარჯვება ჩვენს მეტოქეს მიანიჭეს.

75 კგ. წონით კატეგორიაში კიდევ ერთი ოქროს მედალი დედოფლისწყაროს მოუტანა ნიკოლოზ თარალაშვილმა. ის დამაჯერებლად იგებდა ყველა რაუნდს, ხელის და ფეხის დარტყმების, ქულების უპირატესობით. ფინალიც მის სასარგებლოდ დასრულდა.

გუნდ „ჩემპიონს“ მონაგარი ვერცხლის მედლით შეუვსო 80 კგ. წონით კატეგორიაში ლუკა ზურიკაშვილმა. მან უშეღავათო ბრძოლა გამართა ბოლნისელ მეტოქესთან და სულ მცირე უპირატესობით დათმო ოქროს მედალი“.

გიორგი ჯამასპიშვილი: „პატარაობიდან მიყვარდა ვარჯიში და სპორტი. ჯერ ჭიდაობაზე ვიარე, მაგრამ ვერ მოვერგე და კიკბოქსინგი უფრო მომწონდა. ოჯახს ვთხოვდი მივეყვანე. უკვე 7 წელია თამაზი მასწავლებელი მავარჯიშებს. ძალიან მინდა მსოფლიო ჩემპიონი გავხდე და ამ მთავარ მიზანს მივაღწიო. ვცდილობ, არ გავაცდინო ვარჯიში და დარბაზში თავს კარგად ვგრძნობ, ვარჯიშის პროცესი მსიამოვნებს. ამ შეჯიბრს რაც შეეხება, რთული ბრძოლა იყო, წონითაც მძიმე მეტოქე იყო, გამიჭირდა და დავიღალე, მაგრამ მიზანს მივაღწიე. მეორე ბრძოლა უფრო რთული იყო. შემართებით ვაგრძელებ ვარჯიშს.“

სოსო ჯავახიშვილი: „პირველი ბრძოლა ძალიან არ გამჭირვებია, მაგრამ წინააღმდეგობა ვიგრძენი. ამის მიუხედავად გარდაბნელი მეტოქე მაინც დავამარცხე. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითქმის პირველ ნაბიჯებს ვდგამ ამ სპორტში, უკმაყოფილო არ ვარ. დიდი გამოცდილება მივიღე რუსთავის მერიის თასზე ასპარეზობით და ეს სამომავლოდ ძალიან გამომადგება“.

ილია მარტყოფლიშვილი

სატყეო სკოლა მოზარდებისთვის

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამის „სატყეო სკოლა“ ფარგლებში მიმდინარე სასწავლო კურსი დასრულდა. ცენტრმა „სატყეო სკოლა“ მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით განახორციელა, სადაც IX-XII კლასის მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ ტყის მართვის სისტემისა და ტყის ბიომრავალფეროვნების შესახებ.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა, თამარ ალადაშვილმა კურსდამთავრებულ მოსწავლეებს სერტიფიკატები გადასცა. ამ პროექტში მონაწილეობდა ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გიორგი სეხნიაშვილი, რომელიც ასევე სკოლის ეკოკლუბის „შექმენი მომავლის“ აქტიური წევრია.

გიორგი სეხნიაშვილი: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო „სატყეო სკოლაში“ მონაწილეობა. გვქონდა შესაძლებლობა მიგვეღო ტყის მართვის სისტემის, მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია, ჯერ ონლაინ სემინარების სახით, ხოლო შემდეგ პრაქტიკული სწავლება საგურამოს ტყეში განხორციელდა. ლექციებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და სპეციალისტები გვიტარებდნენ. დასკვნით ეტაპზე კი განათლების ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორმა, სერტიფიკატები გადმოგვცა. ამ პროექტმა ჩემს პიროვნულ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა და კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა სატყეო სკოლას ამ შესაძლებლობებისთვის, მრავალფეროვანი და კარგად ორგანიზებული დღეებისთვის.“

ორი თვის განმავლობაში, მოსწავლეებს ლექციებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული სპეციალისტები უტარებდნენ. სასწავლო პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდებმა შეისწავლეს საქართველოს ტყეები, ტყის როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ტყის ტიპები, მერქნული და არამერქნული რესურსები, ტყის მდგრადი მართვის პრინციპები, ტყის ბიომრავალფეროვნება, „სატყეო სკოლაში“ მონაწილეობის მიღება მოსწავლეებს მთელი ქვეყნის მასშტაბით შეეძლოთ. მონაწილეთა შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდა.

დედოფლისწყარომ ფრენბურთში ლაგოდეხი დაამარცხა

დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდმა ლაგოდეხის გუნდი ამხანაგურ შეხვედრაში 3:1 დაამარცხა. შეხვედრა ლაგოდეხის სპორტულ ცენტრში შედგა.

როგორც დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრის დირექტორის მოადგილე გიორგი ცისკარაულმა „შირაქს“ განუცხადა, დედოფლისწყაროს ფრენბურთის გუნდი, სადაც გოგონებიც და ვაჟებიც ერთად თამაშობენ, საკმაოდ პერსპექტიულია.

გიორგი ცისკარაული: „ფრენბურთი დედოფლისწყაროში რამდენიმე წელია აქტიურად ვითარდება, ბოლო ხანებში კი შეჯიბრებებზეც გვაქვს უკვე შედეგები. ჩვენი გუნდი აბო მეხრიშვილის ხელმძღვანელობით, მალე, პირველ ლიგაში ითამაშებს. პირველი ლიგა რამდენიმე კვირაში დაიწყება. შეძლებისდაგვარად ვეხმარებით, სპორტსმენებიც მონდომებულნი არიან და დიდი იმედი გვაქვს პირველ ლიგაში წარმატებას მიაღწევენ. აქტიურობით ნიკოლოზ ჯინაშვილი გამოირჩევა. გოგონებიც საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული, ნატალი მეხრიშვილი, ელენე გონაშვილი და ა.შ“.

ნიკოლოზ ჯინაშვილი: „ფრენბურთზე მეშვიდე წელია ვარჯიშობ და რაც უფრო მეტს ვსწავლობდი ყოველი წელს უფრო მეტად მაინტერესებდა. ფრენბურთი უბრალოდ სპორტი არ არის, ეს გუნდურობის თამაშია. მარტო ვერასდროს გაიმარჯვებ, იმარჯვებს გუნდი. სწორედ ამიტომ მიყვარს ფრენბურთი. ამ სპორტში ნდობა უმაღლეს დონეზეა. ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ გუნდელები ერთმანეთს ვერ უგებენ, მოგების შანსები ძალიან მცირდება. 2022 წელს შეიქმნა გუნდი, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოში საუკეთესო გამხდარიყო და გვეასპარეზა უმაღლეს ლიგაში საქართველოს საუკეთესო გუნდებთან ერთად. მე ამ გუნდში ლიბერო ვარ, დაცვაზე ორიენტირებული მოთამაშე. გუნდმა შეტევა რომ გაუშვას, რომც არ დაბლოკოს, სანამ ბურთი მოედანს არ შეეხება, ფრენბურთში არ წაგებ. სწორედ ამისთვის არსებობს ლიბერო, შეინარჩუნოს ბურთი თამაშში. ძალიან ვამაყობ, რომ ამ გუნდის ძირითადი ლიბერო ვარ! ვფიქრობ, გუნდს უდიდესი პოტენციალი აქვს, რომ დასახულ მიზანს მივაღწიოთ. ლაგოდეხთან თამაში ჩვენი ძალების გამოცდა იყო და კმაყოფილები დავბრუნდით. ნამდვილად კარგი თამაშები იყო, დავრწმუნდით, თუ რამდენად ძლიერები ვართ. მოწინააღმდეგეც კარგად შევაფასეთ და მზად ვართ 20 მარტს პირველ ლიგაზე სათანადოდ ვიასპარეზოთ“.

შეგახსენებთ, 30 დეკემბერს კახეთის რეგიონული ჩემპიონატიც შედგა, სადაც დედოფლისწყაროელმა ფრენბურთელებმა რეგიონში მეორე ადგილი დაიკავეს.

რა ირკვევა დედოფლისწყაროში ამინდის ყოველდღიური დაკვირვებით?

დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში მოქმედ ეკოკლუბ „კამბისენეს“ აქტივისტები, მე-9ბ კლასის მოსწავლეები, ლაშა ჭუბაბრია და კახი პოპიაშვილი კლუბის ხელმძღვანელ, გეოგრაფიის მასწავლებელ მაია ლაპიაშვილისა და ინგლისური ენის მასწავლებელ ეკა სეფიაშვილის ფასილიტაციით ჩაერთვნენ კლიმატის ცვლილების საერთაშორისო კონკურსში „ENO Weather Week“. მოსწავლეებმა შეაგროვეს და გაზიარებულ ფაილში წარადგინეს ამინდის ყოველდღიური მაჩვენებლები (ტემპერატურა, ტენიანობა, ქარის სიჩქარე და ძალა, ღრუბლიანობა, ნალექიანობა და სხვა). კვირეულის დასასრულს მათ წარადგინეს ინფოგრაფიკა და ვიდეოპრეზენტაცია, სადაც გაანალიზეს დაკვირვების შედეგები.

აღმოჩნდა, რომ დედოფლისწყაროში რვა მონაწილე ქვეყნის თხუთმეტ ქალაქს შორის დაფიქსირდა ყველაზე დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობა.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის ორგანიზებისთვის და საერთაშორისო პროექტში წარმატებული მონაწილეობისთვის ლაშას და კახის სამახსოვრო სერტიფიკატები გადაეცათ.

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის გამორჩეული წევრი, საუკეთესო მწიგნობარი, უბადლო ინტელიგენტი

ვალერი ვახტანგის ძე ბაგალიშვილი.

დაიკრძალა 23 თებერვალს, ქ.დედოფლისწყაროში.

დედოფლისწყაროს სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ივერი ჭუჭულაშვილი, ზურა თეთვაძე, თამაზ ჯანიკაშვილი, ავთო ჯანაშვილი, მერაბ ფიროსმანაშვილი, ნანა აფციაური, ნანა ჭიჭინაძე, მაყვალა ჯორკოშვილი, მაყვალა მამულაშვილი და თამრიკო პაპაჩაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ჯემალ, ილია და ლევან კვანჭილაშვილებს მეუღლის და დედის

იგული ნასრაშვილის

გარდაცვალების გამო.

მელანო ზედელაშვილის სხვა სამყარო

/დასაწყისი გვ.3/

ერთადერთი და მთავარი ბედნიერება ქალისთვის დედობა მგონია! დედაშვილობა ამოუხსნელი სასწაულია. არ არსებობს ამაზე წმინდა, შეუბღალავი, უანგარო, უპირობო სიყვარული, რასაც დედაშვილობა ჰქვია. შვილის სიხარული დედის სიხარულიცაა... შვილების წარმატება დედისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა. ჩემმა შვილებმა თავიანთი ცხოვრებით უკვე არაერთხელ მომანიჭეს უდიდესი ბედნიერება, რაზეც მადლობას ვუხდი უფალს და ჩემს ბიჭებს. ყველა ქალს ვუსურვებ განეცადოს შვილის ყოლის ბედნიერება! ყველა დედა ყოფილიყოს თავისი შვილით ამაყი და ბედნიერი! შვილებს კი ვურჩევ, ჰქონდეთ მადლიერების უნარი დედის შრომის,თავდადების და ჯაფის დაფასების! ღმერთმა დალოცოს დედაშვილობა!



სამყაროში ყველა დედას და განსაკუთრებით დედოფლისწყაროელ დედებს ვუსურვებ ჯანმრთელ სიცოცხლეს, უპრობლემო ცხოვრებას, უამრავ სასიამოვნო, ბედნიერებით სავსე დღეს, სიმშვიდეს! იღბალი იყოს ყველა დედის თანამგზავრი ცხოვრებაში!!!! ყველა დედას ვუსურვებ წარმატებებს დასახული მიზნების განხორვიელებას.



– აღნიშნავდით, რომ თქვენი ოცნება იყო საკუთარი სახელოსნო და თქვენი სივრცე გქონოდათ, თუ მოახერხეთ განხორციელება?

– სამწუხაროდ ჯერ ვერა... დროის უქონლობის გამო ვერ შევძელი.

– რა სიხშირით ახერხებთ შემოქმედებით მუშაობას, რა დროს უთმობთ ამ საქმეს?

– თბილისის საკრებულოს საქმის წარმოების განყოფილებაში ვმუშაობ. სამსახური ბედნიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ბედნიერებაა, როცა გიხარია დილის გათენება, რადგან იცი, რომ სასიამოვნო საქმით ხარ დაკავებული და მოხვდი საუკეთესო გუნდში. ყოველდღიურად ვცდილობ შემოქმედებითი სამუშაოთიც დავკავდე, ძირითადად უფრო ღამით ვიცლი ხოლმე.

– ბავშვობის რთულ წლებზე წერდით...

– დედოფლისწყარო ჩემი ქალაქიცაა 13 წლის ასაკში დამეღუპა მამა და ამან ჩემზე საკმაოდ მძიმე კვალი დატოვა. ისე დაემთხვა, რომ ძმაც ჯარში წავიდა და მგლოვიარე დედასთან მარტო დავრჩი, მან კი ძალიან მძიმედ განიცადა, რთულად გადაიტანა ეს ტკივილი.

– ოჯახისა და ქალის როლზე რას გვეტყვით?

– ოჯახი ხის ტოტებს გავს, სადაც ყველა ტოტი (შვილები) სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. თუ ფესვი (ანუ ქალი) მყარია, თავდაჯერებულია და ძლიერი – მისი ტოტებიც განვითარების სწორი გზით იზრდება, რასაც ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის უამრავი სიკეთის მოტანა შეუძლია. ქალი – ოჯახის ლამაზად ილუსტრირებულ წიგნს ჰგავს!

ილია მარტყოფლიშვილი

მწვანე კამპანია არხილოსკალოში

სოფელ არხილოსკალოში ადგილობრივი აქტივისტების ინიციატივით გამწვანების კამპანია დაიწყო. როგორც არხილოსკალოელებმა „შირაქს“ განუცხადეს, მათი სურვილია სოფელში ნერგები დარგან. ამისათვის მათ უკვე აქვთ საბანკო ანგარიშები, რაზეც თანხის მობილიზებას შეძლებენ. შემოწირულობის გაღებას შეძლებენ ისინიც, ვინც დედაქალაქსა და ქვეყნის საზღვრებს გარეთ იმყოფება. არხილოსკალოელი ლაშა ბექაური „შირაქს“ ეუბნება, რომ მზადაა, დარგვის პროცესში საკუთარი ტექნიკა უსასყიდლოდ ჩართოს.

„იდეა გაჩნდა ნერგების დაბალი ფასიდან გამომდინარე, შევარჩიეთ კონკრეტული სანერგე, სადაც დიდი რაოდენობაა და თითო ძირს 2 ლარად შევიძენთ. ჯიშის მონაცემები რომ ვნახეთ, ავღანეთის და აზიის წარმოშობა აქვს, შესაბამისად ცხელ ჰავას უძლებს, სწრაფად მზარდია და ქარსაფარი ზოლისთვის საუკეთესო ჯიშია. გადავწყვიტეთ, კამპანიის სახე მიგვეცა. მინდვრის ქარსაფარის რაღაც მონაკვეთს ავიღებთ და ვცდით, რა გამოვა, შესაძლოა, ჩვენი აქტიურობა მწვანე მოძრაობაში გადაიზარდოს. გათვლა ბავშვების ჩართულობაზეა, ტრადიციულ სახეს თუ მიიღებს, უკეთესია. ადგილის შერჩევაზე ადგილობრივებში გამოკითხვას ჩავატარებთ,სად დაირგოს. პირადად მე მყავს ევროკავშირის დაფინანსებით შეძენილი ტრაქტორი და მე ვუზრუნველყოფ მიწის კულტივირებას. სპონტანური იდეაა და პროცესში დაიხვეწება. ჯგუფი შემდგომშიც ორიენტირებული იქნება მწვანე მოძრაობაზე და გარემოზე ზრუნვის კამპანიებზე. ქარსაფარი გაშენდება, კონკრეტულ მდებარეობას შემდეგ შევარჩევთ რომელი ქარსაფარი აღდგება“ – ამბობენ სოსო ბუჩუკური და ლაშა ბექაური.

გაუდაბნოებისადმი ყველაზე მეტად მიდრეკილ დედოფლისწყაროში ამგვარი აქტივობები სხვა სოფლებისთვისაც მისაბაძი უნდა იყოს, რათა არ შემცირდეს მოსავლიანობა.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 06.03	სამშაბათი 07.03	ოთხშაბათი 08.03	ხუთშაბათი 09.03	პარასკევი 10.03	შაბათი 11.03	კვირა 12.03
დღე	15°	11°	14°	17°	18°	14°	13°
ღამე	3°	2°	3°	6°	5°	3°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი